ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2019 №24 (7879) ფასი: 60 თეთრი

## დიმიტრი შაშკინი: „განათლების ამ რეფორმით ნიშნებს დაწერენ გოჭებით, ბამბანერკებითა და ფულით“



გვ.4

„ოცნებამ“ განათლების სისტემა მიწაში ჩადო და ახლა ზემოდან მიწა დააყარა“

29 იანვრიდან

რევაზ ინანიშვილი

რჩეული მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# „კახა კალაძე ირაკლი კობახიძესა და მის გუნდს გაემიჯნა“





გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „ძალიან მალე ხელისუფლებას ახალი პარტია გადაიბარებს“

„ძველი მეოცნებეებიდან პარლამენტის თავმჯდომარეს მხოლოდ გია ვოლსკი შერჩა“




## მამუკა არეშიძე: „ფარული ვიდეოს ავტორი თუ არ იპოვეს, ბესელია „ოცნებიდან“ წავა“



გვ.3

„არ მესმის ამ მოსამართლეების, ხალხს თუ არ უნდიხარ და არ გენდობა, რა თვითმიზანია მოსამართლეობა?!“




## გია ხუხაშვილი: „სააკაშვილის ჩამოსვლა პრობლემა არ არის“

გვ.5



გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „უნარების ტესტებს დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც“

სამართალი გვ.7

ადვოკატი კუბლაშვილი: „ჯაკ შეფერდმა ქართული ციხე აირჩია“





„აგინებდა ბიძამისი, სცემდა ბავშვებს, საშინელება ხდებოდა“

პოლიციამ ი.ს. დააკავა

ბათუმის სასამართლოში ბრალდებულები აერიათ



ეკონომიკა გვ.6

თბილისი–ზუგდიდის მიმართულებით მალე ფრენები შესრულდება





კონკურენციის სააგენტო: „ბანანის იმპორტიორი კომპანიის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ დადასტურდა“

ივანე მაჭავარიანი: „15 თებერვლიდან ბიზნესი დღგ-ს ზედმეტობას ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნებს“




ISSN 1987-9385

5 აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონები საერთაშორისო ტურნირში ისევ ითამაშებენ

4 რა უჯდება ბიუჯეტს თამარ ჩუგოშვილის ვოიაჟები

5 „მ“ ზუგდიდის ცენტრში ბრენდულ სასტუმროს აშენებს

6 ვასო ურუშაძე: „საზღვაო ფლოტის შექმნა რეალურია, მაგრამ არა ამ ხელისუფლების პირობებში“

შორენა მარსაგიშვილი

# „კახა კალაძე ირაკლი კობახიძესა და მის გუნდს გაემიჯნა“

**რას აკეთებდა ზარდიაშვილი სკვერში მოსამართლეებთან ერთად, რა თქვა კალაძემ კობახიძეზე, ვისთან ერთად ქმნის „ოცნების“ ძველი გვარდია ალიანსს, ვინ ავრცელებს პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**



## „ძველი მეოცნებეებიდან პარლამენტის თავმჯდომარეს მხოლოდ გია ვოლსკი შერჩა“

**ლადო სადღობელაშვილი:**

— ის, რაც ქვეყანაში ხდება, უკვე არანაირ ჩარჩოში აღარ ჯდება. ოპონენტის წინააღმდეგ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას არანაირი გამართლება არ აქვს.

სამწუხაროდ, საქართველოში ფარული კადრები პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გადაიქცა. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ასეთი კადრებით მოვიდა. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ფარული კადრების გავრცელებას მივესალმე. ეს არ ყოფილა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. ამ ჩანაწერებიდან გაიგო მთელმა ქვეყანამ, რომ სააკაშვილის რეჟიმი ციხეში პატიმრებს აუპატიურებდა.

ეს კადრები პირადად მე არაერთხელ ვაჩვენე ხალხს. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მათთვის დამენახვებინა, თუ რას წარმოადგენდა რეჟიმი სინამდვილეში.

პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რაიმე სახის ფარული ჩანაწერის გავრცელება არის უზნეობა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პოლიტიკოსს ასეთ რამეს უკეთებენ.

ახლა ასეთი კადრები ეკა ბესელიაზე გაავრცელეს და ყველანი ვხვდებით, რატომაც. არც ის არის ძნელი გამოსაცნობი, თუ ვინ დგას ამის უკან.

***— თქვენ იცით, ვინ დგას ამის უკან?***

— კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელება არ შემიძლია,

## ლადო სადღობელაშვილი: „ძალიან მალე ხელისუფლებას ახალი პარტია გადაიბარებს“

მაგრამ ამ ფირების უკან ის ხალხი დგას, ვინც სასამართლოდან მურუსიძე-ჩინჩალაძის ჩამოცილებას ეწინააღმდეგება.

ამ საზიზღრობასთან დაკავშირებით ეკა ბესელიამ სოციალური ქსელით განცხადება გაავრცელა. მას იქაც დავუწერე კომენტარი და აქაც ვიტყვი და მივწერე. ეკას მივწერე, რომ როცა მართალი და მაგარი ხარ, სწორედ მაშინ გიწყებენ ასეთი მიუღებელი მეთოდებით ბრძოლას. ბესელიას მაშინ ურტყამენ წელს ქვემოთ, როცა წელს ზემოთ ვერ ერევიან.

მე არ ვამტკიცებ, რომ ამ კადრების გავრცელების უკან მოსამართლეები დგანან, მაგრამ ეს ყველაფერი დროში დაემთხვა მოსამართლე გიორგი მიქაუტაძეზე გავრცელებულ კადრებს.

თამარ ხაჭაპურიძემ გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, რომ მიქაუტაძე არასრულწლოვანს ურტყამს. იმ დროს ეკა ბესელია ლონდონში იყო. როგორც ჩემი წყარო მიყვება, ამ კადრების გავრცელება მიქაუტაძემ ერთგვარ სიგნალად მიიღო. მან ჩათვალა, რომ მის წინააღმდეგ დაიწყო კომპრომატებით ბრძოლა.

***— არც ეს არის გამართლებული.***

— არ ვამართლებ, მაგრამ კომპრომატი ერთია და მეორეა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები.

***— პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებიც კომპრომატია.***

— ეს კომპრომატი აღარ არის, ეს კომპრომატზე მეტია. მიქაუტაძესთან დაკავშირებით მართლა კომპრომატი გავრცელდა. მოსამართლე როცა ხარ, მუშტებს არ უნდა იქნევდე.

ეს მიქაუტაძე სააკაშვილის მიერ კონტროლირებადი მოსამართლეა. ის „ოცნებასაც“ კარგად მოერგო. სხვათა შორის, ეგ იყო პირველი მოსამართლე, რომელმაც მე უზარმაზარი ჯარიმა მტკიცა.

***— როდის და რისთვის გტკიცათ ეს ჯარიმა?***

— 2014 წლის სექტემბერში ნაციონალების ოფისთან მოვაწყვე აქცია. იქ კვერცხები და საღებავები ვისროლეთ. პოლიციამ დაგვაკავა და, როგორც უკვე ვთქვი, მიქაუტაძემ უზარმაზარი ჯარიმა მტკიცა.

პირადად მე რაღაც ეჭვები მაქვს, თუ როგორ აღმოჩნდნენ მისნაირი მოსამართლეები და ვანო ზარდიაშვილი „ოცნებაში“.

***— ზარდიაშვილი ახსენეთ და, თქვენი აზრით, რაზე ებაასებოდა ის მოსამართლეებს პარლამენტთან მდებარე სკვერში? თავად ამბობს, რომ ახლობელი გარდაეცვალათ და ამაზე მსჯელობდა ნაცნობ მოსამართლეებთან.***

— ეგ ზღაპრები ზარდიაშვილმა თავის მეგობარ მოსამართლეებს მოუყვეს. როდის აქეთაა, ახლობლის გარდაცვალებაზე სკვერში მსჯელობენ. ამ სიცივეში გარეთ რომ არ დამდგარიყვნენ, ან ოფისი არა აქვთ, ან სახლი, ან ტელეფონი? ზარდიაშვილის განმარტება სრული ბოდვაა. ისინი სულ სხვა რამეზე სალაპარაკოდ შეიკრიბნენ.

***— მოდით, იმას დავუბრუნდეთ, თუ როგორ აღმოჩნდა ზარდიაშვილი „ოცნებაში“. თქვით, რომ ამ თემაზე რაღაც ეჭვები გაქვთ.***

— ჩემი აზრით, ივანიშვილმა ზარდიაშვილი იმიტომ მიიყვანა „ოცნებაში“, რომ უნდა, მისი მეშვეობით აკონტროლოს მოსამართლეები. მოსამართლეებიც თანახმა იყვნენ ამაზე. მათ სჭირდებოდათ თავისი კაცი პარლამენტში, რომელსაც სერიოზული პოზიციები ექნებოდა.

***— ზარდიაშვილს რა პოზიციები ჰქონდა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.***

— ეს საკმაოდ მაღალი და საკვანძო თანამდებობაა. ზარდიაშვილი ივანიშვილსა და მოსამართლეებს შორის ერთგვარი ხიდი იყო. ეს ხიდი შემდეგ ძალიან გამსხვილდა.

***— გამსხვილებაში რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ ამ ხიდს კობახიძე, მდინარაძე, მათიკაშვილი და ასეთი ტიპები შეუერთდნენ. მოკლედ, იმდენად გამსხვილდნენ, რომ თავად „ოცნებისთვის“ გახდნენ საფრთხის მომტანი.

პარლამენტში, მათ გარდა, „ოცნებას“ სხვა დეპუტატებიც ჰყავს. მათ ვეღარ მოითმინეს ასეთი თავგასულობა და ამხედრდნენ. „ოცნების“ საღად მოაზროვნე ნაწილისთვის მოძალადეების ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, კოლექტიური ზარდიაშვილების ერთ გუნდად შეკვრა მიუღებელი აღმოჩნდა.

***— რატომ აღმოჩნდა მიუღებელი?***

— ეს გამსხვილება საფრთხეს უქმნიდა „ოცნებას“ და გუნდი სიბინძურის კეთების თანამონაწილე ხდებოდა.

***— რომელ სიბინძურეზე საუბრობთ?***

— რისი დასრულების პირობაც დადო ხელისუფლებამ. „ოცნება“ შეგვპირდა, რომ წინა ხელისუფლების იმ წევრებს დასჯიდა, რომლებსაც ათასი სიბინძურე აქვს ჩადენილი. სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად პორტირებული ნაცები მივიღეთ.

სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ძალიან დაემსგავსა ნაცებს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ესენი კაცებს არ აუპატიურებენ. სხვა მხრივ ერთნაირები არიან. ხომ ხედავთ, ადამიანს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაუვრცელეს. ეს მაინცდამაინც მაშინ მოხდა, როცა ბესელია გუნდის ერთ ნაწილს დაუპირისპირდა.

***— გამორიცხავთ, რომ ეს კადრები ნაციონალებმა გაავრცელეს დაპირისპირების გასაღრმავებლად? ბესელია ამბობს, რომ კადრები მათ დროს არის გადაღებული.***

— აქ არაფერია გამორიცხული. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. „ოცნებისთვის“ კარგი იქნებოდა, ეს ფირები ნაცებს გაევრცელებინათ. პირადად მე ამაში ეჭვი მეპარება.

ნაციონალებიდან კომპრომატების ყველაზე მსხვილი კეისის მფლობელი ზურაბ ადეიშვილი იყო. ადეიშვილის გუნდად მოიაზრებიან ზარდიაშვილი და მდინარაძე.

ამ ამბავში აშკარად იკვეთება ადეიშვილის ხელწერა. მხოლოდ ის არის გასარკვევი, თუ რა მიზნით გაავრცელა მან ეს ყველაფერი.

***— თქვენი აზრით, რა მოტივი უნდა იყოს?***

— შეიძლება, კოლექტიურ ზარდიაშვილს დაუჭირა მხარი, შეიძლება, „ოცნების“ გახლეჩა სურს.

***— ქვეყნის მთავარი მსაჯული, ბიძინა, რას აკეთებს ამ დროს?***

— ბიძინა დიდ ამბებშია.

***— მაინც?***

— 29 იანვარს ირაკლი კობახიძემ ამ კადრებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მისი გამომეტყველებიდან კარგად ჩანდა, თუ რას აკეთებს ივანიშვილი.

***— რა გამომეტყველება ჰქონდა კობახიძეს, ტრადიციულად, უემოციო იყო.***

— მას სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ღამენათევი იყო. სავარაუდოდ, ის სერიოზულად მიიჭირხნა გრიგორიჩისგან. მას ისეთი ფრაზა წამოსცდა, რომ სხვა ვარიანტი, უბრალოდ, გამორიცხულია.





***— რა ფრაზა წამოსცდა?***

— თქვა, რომ კადრების გავრცელების ამბავს საფლავში ჩაჰყვება. ამით მან თქვა, რომ ეს ყველაფერი პარლამენტს ეხება და ის ამ საქმის გამოძიებას მოითხოვს.

***— მერე, ეს რატომ არის ცუდი?***

— ვინ გითხრათ, რომ ცუდია? მან აიღო უდიდესი პასუხისმგებლობა. ახლა მამამისის შვილია და ნუ გამოიძიებს საქმეს.

***— ეგრე ბიძინაც დაგვპირდა, სამართლიანობას აღვადგენო, მაგრამ უსამართლობის მამებს უვადოდ შემოახვია მოსამართლის მანტია.***

— ოპონენტები კობახიძეს ყოველთვის წამოაძახებენ, რომ მან ეს საქმე ბოლომდე არ მიიყვანა.

***— ივანიშვილსაც აძახებენ, დანაპირები არ შეასრულეო, მაგრამ სულ არ დარდობს. ასევე იქნება კობახიძეც.***

— ბიძინა სხვაა და თმახუჭუჭა ყმაწვილი — სხვა. ოპონენტები სერიოზულ წნეხში გაატარებენ. კი მითხარით, არ იდარდებსო, მაგრამ მაგარი სანერვიულო აქვს.

***— რა სანერვიულო?***

— სანერვიულოც არის და სანერვიულოც. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მისი გუნდი დღეებს ითვლის.

***— რატომ არიან ცუდ დღეში?***

— ივანიშვილს აღარ მოსწონს.

***— ეგ უკვე სერიოზული ამბავია.***

— უსერიოზულესი. მეტსაც გეტყვით, კობახიძესა და მის გუნდს სერიოზული ხალხი განუდგა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, კობახიძესთან დაკავშირებით კახა კალაძემაც ხელები დაიბანა.

***— რას ნიშნავს, ხელები დაიბანა?***

— იმას ნიშნავს, რომ კობახიძესთან არანაირი გუნდურობის პრინციპი არ დაიჭირა.

***— ეს რით გამოიხატა?***

— პირდაპირ თქვა, პარლამენტის თავმჯდომარე თუ დამნაშავეა, ჯვარზე გააკარითო.

***— სად თქვა ეს?***

— უმრავლესობის დახურულ სხდომაზე. დეპუტატ დავით ჭიჭინაძის ინფორმაციით, ივანიშვილმა კობახიძეს სულ ბოდიშები ახდევინა.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „ოცნება“, როგორც ერთი გუნდი, აღარ არსებობს. მისი გაერთიანება ბიძინასაც კი აღარ შეუძლია. ძალიან მალე „ოცნება“ დაიშლება.

სადღაც შემოდგომისთვის „ოცნების“ ბაზაზე გაკეთდება ახალი პარტია, რომელიც ხელისუფლებას გადაიბარებს.

***— ვინ შექმნის ამ ახალ პარტიას?***

— ძველი მეოცნებეები. მათთან მხოლოდ ვოლსკი არ იქნება.

***— ვოლსკი ერთ-ერთი ყველაზე ძველია და რატომ უარყო ძველები?***

— კობახიძესთან ურჩევნია. დანარჩენი ძველები შექმნიან ახალ პარტიას, მათთან ერთად კოალიციაში შევლენ ბურჯანაძე, უსუფაშვილი, მეჭიაური, ინაშვილი.

ძალიან სერიოზული ძალა გაკეთდება. კობახიძე და მისი გუნდი ისე დარჩებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „უნარების ტესტებს დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც“

## რას მოგვიტანს განათლების მინისტრის მიერ დაანონსებული ცვლილებები



ნონა ცაბაძე

**რა პრობლემებია განათლების სისტემაში, რა შედეგს მოიტანს სკოლებში საატესტატო გამოცდების გაუქმება, სად არის გამოსავალი? – „ახალ თაობას“ ამ და სხვა პრობლემატურ საკითხებზე ფსიქოლოგი, ლექტორი და ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ესაუბრება.**

***– რას ფიქრობთ სკოლებში საატესტატო გამოცდების გაუქმებაზე? დიდი იყო კრიტიკა, ეს უარეს შედეგს მოგვცემს, სკოლებში აღებმიცემობა იმატებსო. არიან გახარებულებიც. რას იტყვით თქვენ?***

– ინტერესი დიდია და, ცხადია, მეც ჩავხედე ამ საკითხს. განსაკუთრებით არგუმენტაციამ დამაინტერესა და არგუმენტი იყო, რომ ბოლო კლასებში მხოლოდ გამოცდაზეა ორიენტირებული მოწაფე და მშობელი ერთად და ამ მდგომარეობის შესამსუბუქებლად მივიღეთ ეს გადაწყვეტილებაო.

აღებმიცემობა კი გამოცდებს უფრო უკავშირდება, ვიდრე უგამოცდო მდგომარეობას, მაგრამ, ალბათ, რაღაც სტატისტიკა დევს ამ მოვლენების უკან. სასურველია, იყოს მსჯელობა იმაზეც, როცა იყო ეს გამოცდები, რა სურათს ვიღებდით მისაღებ გამოცდებზე უმაღლესებში და, რომ არ იქნება, ამით რა მოლოდინია.

სამყაროს დასასრულს არ მიანიშნებს, თუნდაც არასწორი იყოს ეს ნაბიჯი, მერე შეიძლება უკან დაბრუნება ამ რეჟიმთან. ამ ეტაპზე არის მცდელობა რაღაც სიახლეების შეტანის.

***– ექსპერიმენტია?***

– შეიძლება ითქვას, ისევე, როგორც ბევრი რამ, რაც განათლების სისტემაში ხდებოდა. ექსპერიმენტი იყო თავის დროზე უნარების ტესტების შემოტანა. ამ ტესტებს ჰქონდა თავისი დადებითი მხარეც. ამან ჩაკეტა აღებმიცემობა და ჰქონდა უარყოფითიც.

***– უარყოფითი რა კუთხით?***

– მარტო ტესტებით ცოდნის შემოწმება თითქმის შეუძლებელია. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ტესტი არის როგორც ერთ-ერთი კომპონენტი და არა – ერთადერთი.

***– ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს. არის ახლა ექსპერიმენტების დროს? რთული ვითარებაა, ალბათ, დამეთანხმებით.***

– ძალიან რთულია. მეც გაცნობილი ვარ მაგ მასალებს, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდებოდა ერთი და იმავე სტანდარტებით და ამ საერთო სტანდარტებში ვიყავით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე. ამიტომ დაფიქრებას ბევრი რამე ითხოვს. მე არ ვემხრობი იმ პოზიციას, რომ მხოლოდ სასკოლო სისტემაზე გადატყდეს ჯოხი, რადგან სკოლაში ბავშვი არის რამდენიმე საათი და დანარჩენ დროს ის არის ან ოჯახში, ან თანატოლებში.

***– ოჯახის როლი და დამოკიდებულებაც დიდია.***

– რასაკვირველია. სასკოლო სისტემა ჩვენს თაობაშიც არ იყო დიდად საშურ მდგომარეობაში, მაგრამ აი ეს საოჯახო განათლება და მთლიანი საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნები დიდ გავლენას ახდენდა თითოეულ ჩვენგანზე და სირცხვილი იყო, თუ რაღაცა წაკითხული არ გქონდა, ის, რაც შენს თანატოლებს ჰქონდათ წაკითხული.

ეს გვიბიძგებდა ძალიან ხშირად იმისკენ, რომ გავცნობოდით და მიგველო ისეთი განათლება, რომელსაც სკოლა თითქმის არც ითხოვდა. ჩვენ დროს უცოდინრობა დიდი სირცხვილი იყო.

ეს ფაქტორები – რა არის სირცხვილი და რა – არა, დიდად განსაზღვრავს ბავშვის მოქმედებას და ეს ფაქტორები მხოლოდ სკოლაზე არ არის დამოკიდებული.

***– არის გარანტია, რომ ბავშვები ისწავლიან, როდესაც იციან, რომ გამოცდის ჩაბარება არ მოუწევთ?***

– ვიმეორებ, მხოლოდ სკოლა არ უნდა იძლეოდეს სწავლის გარანტიას. მე არ მქონია ამ ტიპის მსჯელობაში ჩართვის საშუალება, მხოლოდ ჟურნალისტები მეკითხებით. ვისურვებდი, რომ განათლების სისტემასაც ეკითხა, ან იმ სისტემებს, რომლებზეც არის დამოკიდებული, თუ რამ შეიძლება შეცვალოს არსებული მდგომარეობა.

მთლიანობითი მიდგომაა აუცილებელი. უმნიშვნელოვანესია მშობლის როლი, თუმცა ხშირად მშობელმა არ იცის, როგორ მოიქცეს. აწუხებთ, რომ შვილი არ კითხულობს, მაგრამ ეს აწუხებთ უკვე 14-15 წლის ასაკის მომწიფებისას. კითხვის განწყობა მას უნდა შეუქმნას მშობელმა გაცილებით ადრე, თორემ მერე უკვე გვიანია. ასევე არის მეორე მომენტიც....

***– კერძოდ?***

– როგორ წაახალისოს საზოგადოებამ ცოდნის წყურვილი. უცხოეთში როცა აღმოაჩინეს, რომ განათლების ხარისხი ახალგაზრდებში დაბალია, შემოიღეს სხვადასხვა სახის ვიქტორინა. ხდება ამ ვიქტორინებში გამარჯვებულის რეკლამირება, დასაჩუქრება დიდი პრიზებით და ასე შემდეგ.

***– რამდენად სწორია ის, რაც გაკეთდა ახლა, საით წაგვიყვანს, უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ?***

– ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ტელევიზია, წამყვანი მედია. მთელ რიგ ქვეყნებში, იმ მიზეზით, რომ განათლების ხარისხი დაბალი იყო, შემოიტანეს გადაცემები ბუნების შესახებ, ისტორიის შესახებ, მეცნიერების შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია ბიბისი – უმაღლესი ხარისხის მასალებს იძლევა. ასეთ ნაბიჯებს დგამს ძირითადად საზოგადოებრივი ტელევიზია ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არხები. თუმცა, უცხოეთის მაგალითს თუ შევხედავთ, ამ პროგრამებით ტელევიზიებმა იმხელა პოპულარობა მოიპოვეს, რომ თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ასეთი მედიაგანათლება უკვე ხელს უწყობს გავლენას მშობლებსა და იმ გარემოზე, რომელშიც ბავშვია.

***– ჩვენთან ამ კუთხითაც არაფერი კეთდება?***

– ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ არის ჩვენთან გასაკეთებელი. სასურველია, გავიაზროთ კომპლექსურობა და ეს ტვირთიც არ ავკიდოთ განათლების სამინისტროს.

მთლიანი მინისტრთა კაბინეტის დონეზეა შესამუშავებელი პროგრამა, რომლის მიზანი იქნება განათლების დონის ამოწევა. ასევე ძალიან დიდი როლი აქვს ფსიქოლოგიურ მომსახურებას და ეს როლი სამინისტრომ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს.

ასეთმა მომსახურებამ შეიძლება მოახდინოს აგრესიის პრევენცია, ძალადობის პრევენცია, მაგრამ განათლების დონეს რაც შეეხება, ამას უფრო ფართო კონტექსტით უნდა მოვლა. ეს მთლიანი სახელმწიფოს ამოცანაა და არა – ერთი რომელიმე უწყების.

***– უნარების გამოცდები სავალდებულო აღარ იქნება. თქვენ ყოველდღიური შეხება გაქვთ სტუდენტებთან და რა აზრის ხართ ზოგადი უნარების გამოცდაზე?***

– ამ გამოცდას თავიდანვე არ ვუყურებდი კარგი თვალით, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდამ უდავოდ კარგი როლი შეასრულა. სტუდენტები მიხსენეთ და უდავოდ კარგი ნაკადები წამოვიდა ამ გამოცდის შემოღების შემდეგ. ასე თუ ისე, ააქტიურებს გონებრივ მუშაობას. თუმცა ხდებოდა უფრო დასწავლა, დაზეპირება, ვიდრე აზროვნება.

***– რატომ არ უყურებთ კარგი თვალით?***

– ძალიან ბევრი რამეა შესაცვლელი და დასახვეწი. პრინციპების შეცვლა და ამ პრობლემის გააზრება, რომ უფრო სააზროვნო ტესტები იყოს შეტანილი. დაუშვებელია მხოლოდ ამ ტესტებით ახალგაზრდების შემოწმება.

საკმაოდ კარგ ჯგუფში სტუდენტებს დავავალე საშინაო დავალების დაწერა და საკმაოდ დიდ ნაწილს წერტილ-მძიმე არ ჰქონდა ტექსტში, ჩვენ ეს არ გვისწავლია, მხოლოდ შემოხაზვით ჩავაბარეთ გამოცდაო.

ასე რომ, ბევრი თვალსაზრისით არის შესატანი ცვლილებები. ტესტირება თავისთავად კარგია, ოღონდ ამას გართულება უნდა, მუდმივი განახლებაც უნდა და ასე შემდეგ.

# მამუკა არეშიძე: „„ფარული ვიდეოს ავტორი თუ არ იპოვეს, ბევრი „ოცნებიდან“ წავა“

## „არ მესმის ამ მოსამართლეების, ხალხს თუ არ უნდიხარ და არ გენდობა, რა თვითმიზანია მოსამართლეობა?!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მამუკა, სადამდე შეიძლება, ეს პროცესი გაგრძელდეს, რომელიც მოსამართლეთა საკითხს უკავშირდება და რომელიც უკვე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით გრძელდება?***

– თავის დროზე, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა, მისი ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა სწორედ ეს იყო, რომ ამ მახინჯი პრაქტიკისთვის გაეწია წინააღმდეგობა და ებრძოლა. ახლა აბსოლუტურად მოულოდნელია ეს ყველაფერი, რაც სოციალურ ქსელებში გავრცელდა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, ცხადია, ფარულ ჩანაწერებს ვგულისხმობ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის ძველ ტაქტიკას აირჩევდა და ამ ხანძარს ჩააქრობდა, იმ ორ შეხვედრას ვგულისხმობ, რომელიც პარტიასთან ჰქონდა. შეიძლება ითქვას, აქეთკენაც წავიდა საქმე, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანების რაღაც ჯგუფს ან კონკრეტულ ადამიანებს არ აწყობდათ, რომ ეს პროცესი მორიგებით დასრულებულიყო, შენარჩუნებულიყო სამუშაო ატმოსფერო „ქართული ოცნების“ გუნდში და ამიტომ ეს დემარში განახორციელა.

მე არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ ეს გარედან მართული პროცესია და სხვა პოლიტიკური ძალის ან ადამიანების მიერ არის დაგეგმილი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ ან ბიძინა ივანიშვილს ასე უპირისპირდებიან.

ასეა თუ ისე, არასწორი ამბავი



მოხდა, ეს ამბავი კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას „ქართული ოცნების“ შიგნით.

***– ეს ყველაფერი სადამდე შეიძლება მივიდეს?***

– რთული სათქმელია. თუ სწრაფი იქნება რეაგირება, გამოძიება ბოლომდე მივა და დადგენილი იქნება პიროვნება, რომელმაც გაავრცელა ეს კადრები, მაშინ შეიძლება, ტემპერატურამ უფრო დაიწიოს, მაგრამ, თუ ამას მოჰყვა ისეთი რეაქციები, ამ კამპანიის გაცხოველება, მაშინ ვერ გეტყვით, მართლაც სადამდე შეიძლება განვითარდეს. მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***– და რით შეიძლება დასრულდეს? მოვლენათა უფრო რადიკალურ განვითარებას ელოდებით?***

– მინიმუმ პარლამენტში ახალი ფრაქცია შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომელიც შეიძლება მცირერიცხოვანი იყოს, მაგრამ ძალიან ენერგიული და აქტიური იქნება. თუ აქეთკენ წავიდა ყველაფერი, მაშინ, გარწმუნებთ, ეს ფრაქცია საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერასაც მოიპოვებს. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნებიდან“ ეს ადამიანები გავიდნენ, რაც ამ პარტიისთვის კარგი არ იქნება, პირიქით, ცუდი იქნება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი პროცესებს ვერ მართავს?***

– პროცესებს რომ მართავს, ეს გამოჩნდა პარტიის ორდღიან შეკრებაზე. მოდი, ასე ვთქვათ: ეს დაპირისპირებული მხარეები გამოვიდნენ და ყველა იმას ამბობდა, რომ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სწორი ტაქტიკა იყო შერჩეული და პროცესი სწორად იყო წაყვანილი, მაგრამ ერთია ხმამაღლა ნათქვამი და მეორეა, ამ ყველაფრის მიღმა ვინ რა გააკეთა.

რა თქმა უნდა, ყველა პროცესის მართვა შეუძლებელია და არ არსებობს ისეთი ლიდერი, რომელიც ყველა პროცესის მართვას შეძლებს. რადგან ყველაფრის მართვა შეუძლებელია, ახლა საჭიროა ამ გამოწვევაზე რეაგირება.

***– ახლა გამოწვევის წინაშე დგას „ქართული ოცნება“?***

– რასაკვირველია. ახლა საჭიროა ამ გამოწვევაზე რეაგირება.

***– ელოდებით?***

– ასე მინდა იყოს.

***– ამას იმიტომ გეკითხებით, რომ „ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, არც არავის უნახავს ეს ფარული ჩანაწერები და არც ვიცით, მართლა გავრცელდა თუ არაო.***

– მეც არ მინახავს, მაგრამ სხვებმა ნახეს. „ოცნების“ ლიდერებთან თუ გექნებათ საუბარი, შეგიძლიათ უთხრათ, რომ არსებობენ კონკრეტული პირები, რომლებმაც მართლაც ნახეს.

ამიტომ ვამბობ, რომ თუ დროზე გამოვლინდება დამნაშავე, ეს ყველაფერი ჩაცხრება, ამ პროცესს არანაირი გაგრძელება არ ექნება და ისევ გადაერთვებიან გუნდში არსებულ დაპირისპირების თემაზე, მოსამართლეების საკითხს ვგულისხმობ, მაგრამ, თუ არ გამოვლინდება კონკრეტული პირი, ვინც ეს გააკეთა და კიდევ დაემატება ზემოდან, მაშინ ეს პროცესი გაღრმავდება და „ქართული ოცნებიდან“ ამ ჯგუფის გასვლა გარდაუვალი იქნება.

***– და მიზანიც თუ ეს არის?***

– რასაკვირველია, მიზანიც ეს არის, რომ პარტიაში განხეთქილება მოხდეს, მაგრამ, თუ ეს დადასტურდება, მაშინ გარე ძალების ჩარევა ფაქტი იქნება, მაგრამ, გუნდის შიგნით თუ დარჩა ეს ყველაფერი, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი იყოს ამაში გარეული.

***– გარე ძალები ვინ შეიძლება იყვნენ?***

– ამას ვერ გეტყვით, არ ვიცი.

***– უშვებთ გარედან ინსპირირებას?***

– რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება. ყველა ვარიანტი შეიძლება იყოს განხილული. არაერთხელ მომხდარა და ასეთი არაერთი ოპერაცია ჩატარებულა, როდესაც მეტოქის დასუსტება უნდათ, მით უფრო, როდესაც ეს მეტოქე სახელისუფლებო პარტიაა, ამიტომ ამაში მოულოდნელი არაფერია.

***– მოსამართლეთა ეს 10-კაციანი სია მაინც გავა?***

– მე შეიძლება ქვეცნობიერად ამას ვუშვებდე, შეიძლება ეს მოხდეს, მაგრამ ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. ეს დაუშვებელია! ხომ ყველა ამბობს, ხელისუფლება, ოპოზიცია, რომ მთავარი ხალხის ნებაა, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია. ჰოდა, ზუსტად ეს ხალხი ამბობს, რომ ეს 10 კაცი უზენაეს სასამართლოში სამუდამო მოსამართლეები არ იყვნენ.

შეიძლება, იმ 10-კაციან სიაში ყველა ერთ ქვაბში არ იყოს მოსახარში, მაგრამ, რადგან ასეთი მაღალია საზოგადოებრივი აქტივობა, ხალხის დაინტერესება, მაშინ ამ ხალხის ნებას აზრი უნდა გაუწიოს ხელისუფლებამ.

ხელისუფლება მხოლოდ საპარლამენტო განხილვებით არ უნდა შემოიფარგლოს, საზოგადოებრივი განხილვებიც უნდა იყოს და მათი აზრიც უნდა იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი აფეთქდება და დიდი აურზაური მოჰყვება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დიმიტრი შაშკინი: „განათლების ამ რეფორმით ნიშნებს დაწერენ გოჭებით, ბამბანერკებითა და ფულით“

იაგო ნაცვლიშვილი

**განათლების სამინისტრომ 28 იანვარს განათლების სისტემაში დაგეგმილი ცვლილებები გამოაცხადა. 2019 წელს მე-11 კლასელები საატესტატო გამოცდებს აღარ ჩააბარებენ, ხოლო 2020 წლიდან ისინი მე-12 კლასელებისთვისაც გაუქმდება.**

ამას გარდა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს სავალდებულო აღარ იქნება გამოცდა ზოგად უნარებში და ამას უნივერსიტეტები გადაწყვეტენ. უნივერსიტეტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაამატონ სხვა საგანი. ეროვნული გამოცდებისას სავალდებულო იქნება გამოცდის ჩაბარება 3 საგანში – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და მათემატიკა (ტექნიკური დარგის სტუდენტებისთვის) ან ისტორია (ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისთვის).

განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი აფასებს.

***– რამდენად დამაჯერებელი იყო განათლების სამინისტროს არგუმენტები, რომ ვერ ხდებოდა სკოლების განვითარება, უსამართლო სისტემა იყო, უნივერსიტეტებს ჰქონდათ სურვილი, მათი როლი გაზრდილიყო და ა. შ. არ იყო ეს არგუმენტები დამაჯერებელი?***

– არა. მე ვერ მოვისმინე ვერც ერთი არგუმენტი, როგორ შეიძლება აწიოს განათლების ხარისხი გამოცდების გაუქმებამ. განათლების სამინისტროს პირდაპირი ამოცანაა ეს, ეს არის მათი საქმე, ამაში ხელფასს იღებენ. ყველაფერი უნდა გააკეთონ განათლების ხარისხის ასამაღლებლად. თუ საატესტატო გამოცდების გაუქმება აამაღლებს განათლების ხარისხს, ამაზე არგუმენტი არ არსებობს. ასეთ არგუმენტებს ჩვენ ვერ მოვისმენთ. ყველაფერი დანარჩენი დემაგოგიაა.

იგივე დემაგოგია იგივე ხალხისგან მომისმენია, როდესაც მინისტრი ვიყავი. მით უმეტეს, ის ხალხი, ვინც ახლა ამართლებს ამ გადაწყვეტილებას, მაშინაც განათლების სამინისტროში მუშაობდა და ყოველთვის მქონდა მარტივი შეკითხვა. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს სკოლებში საატესტატო გამოცდები არ იყო. მე ვსვამდი ერთი და იგივე კითხვას, თუ დემაგოგიით ამართლებთ, რომ თურმე გამოცდები უშლის ბავშვებს ხელს ცოდნის მიღებაში, მაშინ ამიხსენით, რატომ არ იზრდებოდა განათლების ხარისხი მის შემოღებამდე-მეთქი და რატომ ვერ უზრუნველყოფდით განათლების ხარისხის გაზრდას-მეთქი.

პასუხი არასდროს მიმიღია.

საატესტატო გამოცდები 2010 წელს იყო შემოღებული. ეს იყო იძულებითი გადაწყვეტილება. თუ ვინმე მეტყვის, რომ 2010 წლამდე სასკოლო განათლების სისტემა ყვაოდა და გამოცდების შემოღებამ შეაფერხა ეს განვითარება... არა მგონია, ასეთი უვიცი ადამიანი იყოს, ვინც შავზე იტყვის თეთრს და პირიქით.



***– ხომ არ გგონიათ, რომ თუ უქმდება გამოცდები, მაშინ კონცეფცია უნდა წარმოედგინათ მაინც, როგორ აპირებენ სასკოლო განათლების ხარისხის აწევას?***

– სამწუხაროდ, ბოლო 7 წლის განმავლობაში ვერც ერთი კონკრეტული კონცეფცია ვერ მოვისმინეთ, თუ როგორ უნდა განვითარდეს განათლება საერთოდ და სასკოლო განათლება კონკრეტულად.

2013 წელს დიდი ზარზეიმით საუბარი იყო დუალის კონცეფციაზე, „ოცნება“ ამაზე ბევრს საუბრობდა. გახსოვთ რამე ამ მიმართულებით? ვინმემ რამე გააკეთა? არავინ! 2012 წლის არჩევნების შემდეგ სისტემას ანადგურებენ. განათლების სისტემა ჩადეს მიწაში და 28 იანვარს დააყარეს მიწა.

***– რა არის ამის მიზანი?***

– მთავარი პრობლემაა, რომ ხალხს, რომელიც ბოლო 7 წელია, მართავს განათლების სისტემას, არ ესმის კონცეპტუალურად, რომ სასკოლო განათლება არ არის უმაღლესი განათლების დანამატი. არ შეიძლება მოვითხოვოთ ჩვეულებრივი ადამიანებისგან ამის ცოდნა. თუმცა, ჩინოვნიკებს, რომლებიც განათლების სისტემას მართავენ, უნდა ესმოდეთ, რომ სასკოლო განათლება განათლების ფუნდამენტია.

ეს არის არა მხოლოდ ჩემი აზრი, არამედ ბევრი ჩემი მეგობრისა და ექსპერტის აზრი, რომ სასკოლო განათლება ყველაზე მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში. სასკოლო განათლების მიერ ხდება ადამიანში ისეთი უნარების განვითარება, რომელთა საფუძველზეც ბავშვები წარმატებულები იქნებიან ცხოვრებაში.

უნარები ადამიანში ვითარდება არა სპონტანურად და ჯადოსნურად, არამედ მთავარი უნარები ადამიანში 8 სავალდებულო საგნის მეშვეობით ვითარდება. ეს საგნებია მშობლიური ენა, უცხოური ენა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და მათემატიკა. ამ 8 საგნის მეშვეობით ხდება ბავშვი წარმატებული.

> **„ოცნებამ“ განათლების სისტემა მიწაში ჩადო და ახლა ზემოდან მიწა დააყარა“**

სისტემის არსი არის ის, რომ ბავშვი გახდეს წარმატებული და საზოგადოების წარმატებული წევრი იყოს. ეს უნარები ვერ განვითარდება რამდენიმე საგნის მიერ. მაგალითად, კრიტიკულ აზროვნებაზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს მათემატიკა. შედეგზე ორიენტაციის უნარზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს ფიზიკა და ა. შ. როდესაც შენ რომელიმე საგანს აკნინებ სკოლაში, ან ქმნი სიტუაციას, როდესაც ხელოვნურად ხდება დაჩაგრული, ვერ მიიღებ მის განვითარებას. ეს არ ესმით.

***– საუნივერსიტეტო განათლების ჩართულობის გაზრდა როგორ უნდა მოხდეს?***

– ეს ეხება უნივერსიტეტებს და უნარების გამოცდებს. მოდით, გავიხსენოთ, რატომ იყო მიღებული ერთიანი ეროვნული გამოცდები იმ ფორმით, რომლითაც ის არსებობდა. თქვენც ხომ ამ ქვეყანაში ცხოვრობთ და თქვენც ხომ გახსოვთ ეს?!

***– კორუფციის აღმოსაფხვრელად.***

– აბსოლუტურად გეთანხმებით. 2000-იანი წლების დასაწყისში ყვაოდა კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში. ამოცანა იყო უნივერსიტეტებიდან მისი გამოტანა. ახლა მიდის საუბარი, რომ კვლავ უნდა დავუბრუნოთ უნივერსიტეტებს გამოცდები. ეს კორუფციას ააყვავებს და ზენიტში აიყვანს.

სანამ ჩვენი მასწავლებლების კვალიფიკაცია არ იქნება ამაღლებული და განათლების დონე ზემოთ არ იქნება აყვანილი, რეპეტიტორების საკითხი მნიშვნელოვანი იქნება. იმისთვის, რომ ღარიბი ბავშვები არ დაიჩაგრონ, მიღებული იყო უნარების დანერგვის გადაწყვეტილება. უნარები ისეთი რამეა, რომ მას ვერ სწავლობ. შეგიძლია გამოცდისთვის მოემზადო, მაგრამ უნარებს ვერ ისწავლი, ისევე, როგორც ქიმიას, ისტორიასა და ინგლისურს.

ვიცი, რომ ბავშვები ემზადებიან უნარებში, მაგრამ ისინი ემზადებიან, ვისაც სჭირდება დახმარება მეთოდოლოგიაში და არა შინაარსში. ამიტომ იყო მიღებული ეს გადაწყვეტილება და უნარებზე ამიტომ იყო დამოკიდებული. თუ მშობლებს არ აქვთ ფული, უნარებით მათი შვილი იღებს გრანტს.

***– ვერ დაგეთანხმებით ამ ნაწილში. ბავშვების უმეტესი ნაწილი უნარებშიც ემზადებოდა.***

– ზუსტად ამიტომ გითხარით, რომ დადიან ისინი უნარებზე რეპეტიტორებთან. მაგრამ, მომზადება, როგორც ასეთი, შეუძლებელია. მაგალითს მოგიყვანთ, არსებობს გამოცდა – სატ. ეს არის ყველაზე ცნობილი გამოცდა მსოფლიოში, რომლის მეშვეობითაც იღებენ პრინსტონში, კემბრიჯში, ოქსფორდში და ა. შ.

ესეც უნარებზეა დაფუძნებული. ამისთვის მომზადება თქვენ შეგიძლიათ, თუმცა ბავშვები ემზადებიან როგორც უნარების გამოცდებზე. ბავშვები ემზადებიან მეთოდოლოგიაში და არა – შინაარსობრივ ნაწილში. შინაარსობრივ ნაწილში მომზადება შეუძლებელია. ამას ნებისმიერი პროფესიონალი გეტყვით. ის, რომ ბავშვები დადიან და ხშირად ფულს იხდიან, არ ნიშნავს, რომ ისინი უნარებში ემზადებიან. ისინი მეთოდოლოგიაში ემზადებიან. თუ ბავშვს არ აქვს ფული და ვერ ემზადება უნარებში, აბსოლუტურად უპრობლემოდ აბარებს გამოცდას. იმიტომ, რომ უნარები ან გაქვს, ან არა. სტატისტიკა ამაზე მეტყველებს.

ეროვნულ გამოცდებს საუკეთესოდ აბარებდნენ ბავშვები, რომლებიც რეპეტიტორებთან არ დადიოდნენ და რეგიონებიდან იყვნენ. ერთი პერიოდი გამოირჩეოდა რუსთავი. მინისტრობისას მაინტერესებდა, ველაპარაკებოდი ბავშვებს და არც ერთი არ ემზადებოდა უნარებში.

ბევრი რამეა გასაკეთებელია განათლების სისტემაში, თუმცა, არსებობს ისეთი რამეები, რაც არ შეიძლება, რომ დაანგრიო. იმიტომ, რომ ეს ფუნდამენტია. თუ დააბრუნე კორუფცია სკოლებში ან უნივერსიტეტებში, თუ დაჩაგრე კონკრეტული საგნები... ხომ გაიხსენეთ, რატომაც შემოვიღეთ ეროვნული გამოცდები?! მუდმივად იყო ტირილი, მათემატიკას და ფიზიკას არ სწავლობენო. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი მოდიოდა და მეუბნებოდა, მათემატიკაზე არ არის მოთხოვნაო.

2011 პირველი წელი იყო, როდესაც საატესტატო გამოცდების შემოღების შემდეგ ფიზიკაზე დაიწყო კონკურსი ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ახლა, რასაც მიიღებენ ამ რეფორმით, არის ის, რომ კორუფციას მიიღებენ სკოლებში, ნიშნებს დაწერენ გოჭებით, ბამბანერკებითა და ფულით.

მეორე – რეალურად განადგურებული იქნება ზუსტი მეცნიერებები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ბავშვს არ შეიძლება მისცე არჩევანი, ისწავლოს მათემატიკა თუ ისტორია. ორივე მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, ბავშვი ისტორიას აირჩევს, რადგან ბევრად იოლია. მესამე – არ შეიძლება მივიღოთ სპეციალისტები, რომლებმაც 2-3 საგანი იციან და საერთოდ არ იციან მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია თუ ბიოლოგია. განათლების სამინისტრო აძლევს ბავშვებს საშუალებას, რომ ეს საგნები არ ისწავლონ.

***– ენდიაის ბოლო კვლევებით, განათლება პრიორიტეტებს შორის მერვე ადგილზეა, ეს რითი შეიძლება აიხსნას?***

– ბოლო 7-8 წლის განმავლობაში ხალხმა გადაწყვიტა, რომ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს. იმიტომაც იზრდება კერძო სკოლებში ყოველწლიურად ბავშვების მიღება. ვისაც შესაძლებლობა აქვს, ყველას კერძო სკოლებში მიჰყავთ ბავშვები. ამით არის ეს ყველაფერი განპირობებული.

კი ბატონო, კარგია, როცა ვიღაცას აქვს ფული და შეუძლია, თავისი შვილების განათლებაში ჩადოს. მაგრამ რა ქნან მათ, ვისაც ფული არ აქვთ?! ასეთი უაზრო გადაწყვეტილებების მსხვერპლი ხდებიან ეს ბავშვები. უმეტეს შემთხვევაში ნიჭიერი ბავშვები, რაც სერიოზული პრობლემაა.

სამწუხაროდ, არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა. წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ მე და თქვენ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, ეს ხელისუფლება ანადგურებს განათლების სისტემას. განათლების ინსტიტუცია პირველი იყო, რომელიც დაეცა. მიდის ამ სისტემის მიზანმიმართული განადგურება. არც კონცეპტუალურად არ ესმით, რას აკეთებენ და არც ცდილობენ.

ხომ გესმით, ეს რატომაც გააკეთეს და მიზეზი რაც იყო?!

***– რა იყო?***

– საატესტატო გამოცდები მუდმივად აჩვენებდა, რომ განათლების ხარისხი უარესდება და უარესდება. უფრო და უფრო მეტი ბავშვი იჭრება ყოველწლიურად. რა გააკეთა განათლების სისტემამ ამით, ხომ ხვდებით?!

***– დამალა პრობლემები?***

– ბუნებრივია. საატესტატო გამოცდებს, სხვა პლუსებთან ერთად, ის პლუსიც ჰქონდა, რომ ის აჩვენებდა, რომ სისტემა არის ავად, სისტემაში პრობლემებია და ბევრი ბავშვი როცა იჭრება გამოცდაზე, ეს პრობლემაა. ეს ნიშნავს, რომ განათლების ხარისხი არ ვარგა.

იმის ნაცვლად, რომ განათლების სამინისტროს ამ ხარისხის გაუმჯობესებაზე ეზრუნა, პრობლემის ინდიკატორი მოკლა. ეგ იგივეა, ავადმყოფ ადამიანს აუკრძალო ანალიზების ჩაბარება იმ ლოგიკით და არგუმენტით, რომ თუ ანალიზებს არ ჩააბარებ, გამოჯანმრთელდები.

---

## მამუკა არეშიძე: „„ფარული ვიდეოს ავტორი თუ არ იპოვეს, ბესელია „ოცნებიდან“ წავა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჯერ ერთი, არ მესმის ამ მოსამართლეების, ხალხს თუ არ უნდიხარ და არ გენდობა, რა თვითმიზანია მოსამართლეობა?! მეორე, ეს პროცესი ძალიან ბევრ მოსამართლეს ძალიანაც მოსწონს.

***– რატომ, მოსამართლეებშიც არის განსხვავებული აზრი?***

– რასაკვირველია, არის, ხმამაღლა არ საუბრობენ სხვადასხვა მიზეზის გამო. მე ვიცი, რომ მოსამართლეთა კორპუსში განსხვავებული აზრი არის და ყველა ისე არ ფიქრობს, როგორც მურუსიძე. უბრალოდ, ხმამაღლა არ საუბრობენ. უამრავი მოსამართლე სწორედ ამ მოსამართლეების ჩრდილში იმყოფებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამ ადამიანებს არაფერი დანაშაული არ მიუძღვით, პატიოსნად მუშაობდნენ, მაგრამ ამ საერთო ქვაბში მოხვდნენ და, ბუნებრივია, ეს არ მოსწონთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, თუ ვინმემ მოინდომა მოსამართლეების ჩუმად დაბარება, ზოგიერთს შეიძლება ვალდებულებაც აქვს, ვერ გეტყვით, მაგრამ ამას, მერწმუნეთ, ძალიან მძიმე შედეგი მოჰყვება.

შედეგი იქნება ის, რომ ნდობის ხარისხი, რომელიც არცთუ ისე მაღალია პოლიტიკური სპექტრის მიმართ, საერთოდ დაიკარგება. ამიტომ, არ მესმის, რატომ ჭრიან ის ტოტს, რომელზეც სხედან.

ეს ეხება ყველას – ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც.

---

## რა უჯდება ბიუჯეტს თამარ ჩუგოშვილის ვოიაჟები

შორენა მარსაგიშვილი

**სულ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს სულ თავზედი აწყევლინა. ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ ბაქრაძე ბიუჯეტის ხარჯზე დაქრის აქეთ-იქით და, რაც მთავარია, ბიუჯეტის ხარჯზე შოპინგობს.**

დავით ბაქრაძე უკვე მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრია და მართლაც ხშირად დადის საზღვარგარეთ, ძირითადად ბიუჯეტის ხარჯზე. ამის გამო ოპოზიცია მას მაშინაც საყვედურობდა, როცა ის პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

წინა ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილ მოსახლეობას ეამა კიდევაც ჩუგოშვილის მიერ ბაქრაძის კრიტიკა. ვიცესპიკერი თავადაც რომ არ ყოფილიყო ბიუჯეტის ხარჯზე საზღვარგარეთ სიარულში შეჩვეული, მისი ქოქოლა ყოფილი ხელისუფლების წევრის მიმართ ალალი იქნებოდა.

პარლამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ გასულ წელს ჩუგოშვილის უცხოური ვოიაჟებისთვის ლამის 90.000 ლარი დაიხარჯა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი ამბობს, რომ 2018 წელს პარლამენტის წევრთა საზღვარგარეთ მივლინებებში, საერთო ჯამში, ბიუჯეტიდან მილიონ ნახევარზე მეტი დაიხარჯა.

საკრებულოს წევრის განმარტებით, ამ ნახევარი მილიონიდან ყველაზე მეტი თანხა აითვისეს საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის დროს პარლამენტის ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა და თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

– პირველ ადგილზე ხარჯებში არის ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი, რომელმაც 86 ათას 702 ლარის იარა ბიუჯეტის ხარჯზე სხვადასხვა ქვეყანაში. მას კონკურენციას უწევს ირაკლი კობახიძე.

ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ ათობით დეპუტატი გაურკვეველი მიზეზებით დაფრინავს სხვადასხვა მიმართულებით ბიუჯეტის ხარჯზე.

ამ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გვაქვს ლეგიტიმური კითხვები მიზნობრიობასთან დაკავშირებით, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

უცხოურ ვოიაჟებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობაში დიდი უკმაყოფილებაა. დეპუტატები შეწუხებული არიან იმის გამო, რომ საზღვარგარეთ მხოლოდ ისინი დადიან, ვინც ირაკლი კობახიძესთან არის დაახლოებული.

ამაზე საჯარო განცხადება გასულ წელს დავით ჭიჭინაძემ გააკეთა. იმ დროს ის ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ წევრი იყო. ამ თემაზე კიდევ აპირებდა სიტუაციის დაძაბვას, მაგრამ მმართველი პარტიიდან მოკვეთეს. მერე ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები იყო და ეს თემაც მიიჩქმალა. თამარ ჩუგოშვილის წყალობით ბიუჯეტის ხარჯზე ვოიაჟები ისევ აქტუალურია.

# გია ხუხაშვილი: „სააკაშვილის ჩამოსვლა პრობლემა არ არის“

ლელა მდივანი

**საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააანონსა, რომ თუკი ოპოზიცია საქართველოში მის უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს, ის მზად არის აქ ჩამოსასვლელად.**



რა შემთხვევაშია შესაძლებელი, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ისევ საქართველოში ვიხილოთ და რას ნიშნავს მისი ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებები? – ამაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა.

– მიხეილ სააკაშვილის განცხადების პოლიტიკური მოტივები აბსოლუტურად გასაგებია. ის ცდილობს, მუხტი შეინარჩუნოს, მხნეობა შეიტანოს თავისი მხარდამჭერების რიგებში და ასეთი პოლიტიკური დღის წესრიგით მიდის და ქმნის რაღაც მოლოდინებს. ეს არის პოლიტტექნოლოგიური საკითხი. მას აქვს პოლიტიკური ამოცანა და, როგორც შეუძლია, ასრულებს.

***– ექსპრეზიდენტმა განაცხადა, როცა მე ჩავთვლი, რომ საქართველოს აქტიური ნაწილი და ოპოზიცია არის მზად, უზრუნველყოს ჩემი 72-საათიანი თავისუფალი გადაადგილება საქართველოში, მე გავჩნდები იქ და ეს არის სცენარი ხელისუფლების მშვიდობიანი გზით მოშორებისო. როგორ ფიქრობთ, არის ოპოზიცია მზად იმისთვის, რომ მისი უსაფრთხო გადაადგილება უზრუნველყოს ან დადგება ასეთი დრო?***

– ადამიანი, რომელიც არის გასამართლებული და, პრინციპში, სამართლებრივი სტატუსი მისი ისეთია, რომ გამოჩენისთანავე ხელისუფლებამ უნდა დააპატიმროს, თუ ხელისუფლება ამას ვერ მოახერხებს 72 საათის განმავლობაში, ე.ი. ხელისუფლება ჩამოშლილია. აქედან გამომდინარე, მისი განცხადება ცოტა გაუგებარია. თუ ხელისუფლება ჩამოიშალა, მაგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ეს მოხდეს, მაგრამ ხელისუფლებას დღეს აქვს ბევრი პრობლემა და მისი პრობლემა სააკაშვილი არ არის, იმდენად, რამდენადაც თვითონ სისტემის მანკიერება, რომელიც შიგნიდან ჭამს ხელისუფლებას და შიგნიდან ანგრევს. მე ვერაფერს გამოვრიცხავ, მათ შორის იმასაც, რომ ხელისუფლებაში, ასე რომ ვთქვათ, სუიციდიალურმა მიდრეკილებებმა, საბოლოო ჯამში, სერიოზული რყევები გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში სააკაშვილი რას იზამს, ეს ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, იმიტომ, რომ სახელმწიფოა პირველ რიგში პრობლემა.

***– თუმცა, ის აანონსებს, რომ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით მოშორება სწორედ მისი აქ გამოჩენის შემდეგ მოხდება.***

– თუ ხელისუფლებას ექნება იმხელა პრობლემები, რომ ჩამოშლის პირზე დადგა, მაშინ სააკაშვილი ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენც ვიცით კარგად, რა უნდა გავაკეთოთ. ნუ ჰგონია, რომ მარტო მას აქვს ოქროს გასაღები და მან იცის, რა და როგორ ხდება. ასე არ არის სინამდვილეში. მე მაინც იმედი მაქვს, რომ აქამდე არ მივა საქმე, რომ ხელისუფლება იმდენად ჩამოიშლება, რომ ამ განაცხადის რეალიზება იქნება შესაძლებელი. განა იმიტომ, რომ მისი ჩამოსვლაა პრობლემა. მისი ჩამოსვლა საერთოდ არ არის არანაირი პრობლემა, არამედ იმიტომ, რომ ეს ნიშნავს, თვითონ სახელმწიფო ინსტიტუტები იქნება პარალიზებული, რაც ცუდია ქვეყნისთვის.

***– რაც შეეხება მოსამართლეების არჩევის საკითხს, ექსპრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სულ ერთია, ჩინჩალაძე იქნება თუ პეტრიაშვილი, ყველა ივანიშვილის მონა იქნება. უნდა გავყაროთ ეს მოსამართლეები და ჩამოვიყვანოთ უცხოელი მოსამართლეები: ამერიკელები, ინგლისელები. როგორ ფიქრობთ, ეფექტური იქნება ეს დღევანდელი სასამართლო სისტემისთვის? ამაშია გამოსავალი?***

– მე არ მგონია, რომ უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანა იყოს გამოსავალი და რაიმეს მომცემი. სისტემა არის გასაწმენდი. მე ვფიქრობ, რომ როგორც სასამართლო სისტემაში, საერთოდ იურისტების სამყაროში, არიან იმ რაოდენობის წესიერი ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ, ჩვენი სასამართლო სისტემა დააკომპლექტონ და მას მისცენ ის ენერგია, რომელიც სჭირდება მართლმსაჯულებას.

# არჩილ მესტვირიშვილი: „ვამკვიდრებთ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ფინანსურმა ინსტიტუტებმა სესხი მხოლოდ გადახდისუნარიანობის შეფასების შედეგად უნდა გასცენ“



– ვამკვიდრებთ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ფინანსურმა ინსტიტუტებმა სესხი მხოლოდ გადახდისუნარიანობის შეფასების შედეგად უნდა გასცენ. მსესხებლის გადახდისუნარიანობის შემოწმების აუცილებლობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ევროდირექტივების მოთხოვნაა, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, არჩილ მესტვირიშვილმა „ტექნოპარკში“ გამართულ ეკონომიკურ კონფერენციაზე „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“ განაცხადა.

ეკონომიკური კონფერენცია ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალის, THE ECONOMIST-ის წლიური გამოცემის „მსოფლიო 2019“-ის ეგიდით 29-30 იანვარს „ტექნოპარკში“ იმართება. კონფერენციას საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენციის მონაწილეებს ვიცეპრეზიდენტმა ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორში დანერგილი რეგულაციები გააცნო. არჩილ მესტვირიშვილმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების თემაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა იმ მიზეზებზე, თუ რატომ გახდა საჭირო საფინანსო სექტორში რეგულირება და რა გავლენა ექნება მას ეკონომიკურ ზრდაზე.

– იმისათვის, რომ ეკონომიკური ზრდა აისახოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ის უნდა იყოს გრძელვადიანი და მდგრადი. ამისათვის კი, მნიშვნელოვანია საფინანსო სექტორის გამართული, სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირება. საფინანსო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ მსესხებელს საბანკო სექტორის მიმართ ჰქონდეს ნდობა, სხვა შემთხვევაში მხოლოდ რისკიანი მსესხებელი ისესხებს ფულს, მათი რაოდენობა შეზღუდული იქნება და ბანკების საკრედიტო რისკები და, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები იქნება მაღალი. ამიტომ, ბანკის ინტერესშია რომ მომხმარებელი თავს დაცულად გრძნობდეს ბანკთან ურთიერთობაში. რაც დადებითად აისახება როგორც საბანკო სექტორზე, ასევე მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, – განაცხადა არჩილ მესტვირიშვილმა.

# „მ“ ზუგდიდის ცენტრში ბრენდულ სასტუმროს აშენებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში დეველოპერულმა კომპანია „მ“-მ ადგილობრივ არქიტექტორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ზუგდიდის ცენტრში ბრენდული სასტუმროს მშენებლობის პროექტი გააცნო. შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოთხვარსკვლავიანი, 120-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა დღევანდელი ყინულის სასახლის ტერიტორიაზე იგეგმება. წარმოდგენილი პროექტი არქიტექტორებმა მოიწონეს და განაცხადეს, რომ ის არსებულ ლანდშაფტს ერწყმის. მათივე განმარტებით, ყინულის სასახლე ქალაქის იერსახეს ამახინჯებს და მისი გადატანა კარგი გადაწყვეტილებაა.

ყინულის სასახლის გადატანა ე.წ. კომკავშირის ყოფილი პარკის ტერიტორიაზე იგეგმება, სადაც სპორტული კომპლექსის და ოლიმპიური სტანდარტების აუზის მშენებლობაა გადაწყვეტილი. ყინულის სასახლის გადატანის და მონტაჟის სამუშაოებს თავად სასტუმროს მშენებელი კომპანია მოახდენს. ყინულის სასახლის გასაბერ კონსტრუქციას 2 წელიწადში ექსპლუატაციის ვადა გასდის, ამიტომაც მისი მოწყობა „სენდვიჩ პანელებით“ მოხდება, რაც ყინულის მოედნის შენახვას გააიაფებს.



სამშენებლო კომპანია „მ“-ს წარმომადგენლებმა შეხვედრაზე სოხუმის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პროფესიული სასწავლებლის აღდგენაზეც ისაუბრეს, სადაც ძირითადად კულინარიასა და მომსახურეობის სფეროში მსურველთა სწავლება და გადამზადება მოხდება.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გეგმა. სასტუმროს ოპერირებისთვის 200-ზე მეტი სამუშაო ადგილია განსაზღვრული. კომპანიამ სასტუმროს კონცეფციის საჯარო პრეზენტაცია გასული წლის 25 ნოემბერს სკეიტ პარკის ტერიტორიაზე გამართა.

**კომერსანტი**

# აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონები საერთაშორისო ტურნირში ისევ ითამაშებენ

## შეჯიბრებაში დასავლეთ სომხეთის ნაკრებიც მონაწილეობს

მარიამ მჭედლიშვილი

**კონიფას ეგიდით გამართულ საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრებებში საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მონაწილეობა ტრადიციული გახდა.**

კონიფა, ანუ ფეხბურთის არაღიარებული ასოციაციების კონფედერაცია წელს მორიგ ჩემპიონატს მთიან ყარაბაღში ატარებს.

მასში მონაწილე 12 მონაწილე გუნდიდან 3 კავკასიურია – აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და მთიანი ყარაბაღის ნაკრებები, ორი – ლუგანსკისა და დონეცკის – უკრაინული.

წლევანდელი ტურნირი ივნისში იმართება. კონფლიქტურ მთიან ყარაბაღში ამ დროს იმდენ მონაწილესა და გულშემატკივარს ელიან, რომ თადარიგს უკვე იჭერენ. იმის გამო, რომ სასტუმროები ჩამოსულებს ვერ დაიტევს, დაინერგა პროექტი „სტუმართმოყვარე ოჯახი“.

ტერიტორიულად სადავო მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა ფეხბურთის ქომაგებს საცხოვრებელ სახლებში დააბინავებს.

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართული წილისყრისას დადგინდა, რომ აფხაზეთის ნაკრები ხვდება ნიცის საგრა-



ფოს, აგრეთვე საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე ჩამერიის გუნდებს, ხოლო ცხინვალის რეგიონის ნაკრები – დასავლეთ სომხეთისა და რუმინეთის უნგრელების გუნდებს.

დასავლეთი სომხეთის ნაკრების მონაწილეობა ტურნირში უკვე მსჯელობის საგანი უნდა იყოს.

საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე სომხეთის ლიდერებს შეკითხვები უნდა დაუსვას.

წინა ჩემპიონატი 2016 წელს მაის-ივნისში ოკუპირებულ აფხაზეთში გაიმართა. ოფიციალურ თბილისს იმდროინდელი ტურნირის გამო ხმაური არ აუტეხავს.

წელს ოკუპირებული რეგიონები უფრო თავდაჯერებული ითამაშებენ – შარშან სოხუმმა და ცხინვალმა „დამოუკიდებლობის“ 10 წლისთავი ზეიმებით აღნიშნეს, მათი მაღიარებლების რიცხვს კი სირია დაემატა. ტურნირში მონაწილეთაგან უმრავლესობა არავის უღიარებია.

ოკუპირებული რეჟიმები ელიან, რომ აღიარების პოლიტიკა გაგრძელდება. ამ მხრივ მათ განსაკუთრებით ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების იმედი აქვთ.

თუმცა, ვენესუელის ლიდერის, ნიკოლას მადუროს მაგალითზე ისინიც დარწმუნდნენ, რომ ასეთი ქვეყნების რეჟიმები არამყარია.

აშშ-ისგან, საქართველოსა და მთელი რიგი ქვეყნებისაგან თვითმარქვიად გამოცხადებულ მადუროს მხარდაჭერა ჯერ სოხუმის საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოუცხადა, შემდეგ – ცხინვალის ადმინისტრაციამ.

სოხუმსა და ცხინვალში აცნობიერებენ, რომ საქართველოს რეგიონების 11 წლის წინანდელი აღიარება ვენესუელის მხრიდან მადუროს რეჟიმის დამთავრების კვალდაკვალ გაბათილდება.

შესაძლოა, მსგავსი ბედი ეწიოთ ნიკარაგუასა და ნაურუს, ასევე – მომავალში სირიის „აღირებებსაც“.

ეს რომც მოხდეს, საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა ამ სფეროში აშკარაა.

ოფიციალურ თბილისს შეეძლო, არაღიარების პოლიტიკის გაძლიერების ფონზე ხელი შეეწყო სახალხო დიპლომატიისა და სპორტული კონტაქტებისათვის ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობასთან. ეს არ მომხდარა.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოაცხადოს, ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ამგვარი შეჯიბრებები, ასევე, უნდა გაარკვიოს, რას ნიშნავს კონიფას მომავალ საერთაშორისო ტურნირში დასავლეთ სომხეთის ნაკრების მონაწილეობა.

თბილისს ჯერ ისიც ვერ გაურკვევია, ვის დასჭირდა წარმოშობით იქაური „ბოევიკის“ პროვოკაციული ბიუსტის დადგმა ახალქალაქში, რომელმაც გამოიწვია დაძაბულობა ქვეყნის შიგნით და გაართულა ურთიერთობა როგორც აზერბაიჯანთან, ისე სომხეთის ახალ ხელისუფლებასთან.

# ვასო ურუშაძე: „საზღვაო ფლოტის შექმნა რეალურია, მაგრამ არა ამ ხელისუფლების პირობებში“



საზღვაო ფლოტის შექმნა რეალურია, მაგრამ არა ამ ხელისუფლების პირობებში. დღევანდელი პოლიტიკური გარემო სრულიად შეუსაბამოა, რომ მსგავსი მასშტაბური პროექტების განხორციელება შესაძლებელი იყოს. გვაქვს სრულად არაადეკვატური სატრანსპორტო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი საზღვაო მიმართულებით, ამიტომ არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ ქობულიას განცხადება დავიჯეროთ“, – ასე აფასებს „hub Georgia“-ს დამფუძნებელი ვასილ ურუშაძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი ქობულიას განცხადებას.

საუბარია საზღვაო ფლოტის შექმნასა და ამ მიმართულებით სხვადასხვა სერვისის დანერგვაზე.

ჩვენ გვაქვს დღესდღეობით საკმაოდ შორს წასული მოლაპარაკებები ჩვენი საკუთარი ფლოტის, საქართველოს ფლოტის შექმნასთან დაკავშირებით, – განაცხადა The Economist-ის მიერ ორგანიზებულ ფორუმზე – მსოფლიო 2019 ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ.

როგორც ვასილ ურუშაძე ჩვენთან საუბარში განმარტავს, საქართველოში ზოგადად საზღვაო ფლოტის განვითარება სავსებით რეალურია, ქვეყანას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით პერსპექტივებიც გააჩნია, მაგრამ მეორე საკითხია ხელისუფლების მხრიდან სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ურუშაძის თქმით, საზღვაო ფლოტის შექმნას არაერთი ფაქტორი უშლის ხელს და ყველა მათგანი პოლიტიკურ ნებას უკავშირდება. ამიტომ ქობულიას განცხადება უფრო დილეტანტური და პოპულისტურია, ვიდრე რეალური.

– მთლიანად სატრანსპორტო პოლიტიკაა დღეს მოშლილი და განადგურებული, მათ შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობა საზღვაო მიმართულებაშია. ადგილობრივი ბაზარი არის სრულიად არალიბერალური, მოქმედებს უამრავი ბიუროკრატიული ბარიერი. საგადასახადო ნაწილიც კი სრულად მიუღებელია, რის გამოც, უამრავი ქართველი ვიცი, ვინც ფლობს საზღვაო ხომალდს და ოპერირებს, ეს გემები დარეგისტრირებული ჰყავს თურქეთში, საბერძნეთში და ა.შ. რატომ? – იმიტომ, რომ საქართველო საზღვაო მიმართულებით არის არამიმზიდველი ქვეყანა და ეს ყველამ იცის. ასეთ დროს ქობულიას განცხადებები, რა თქმა უნდა, უფრო ფორმალურია, ვიდრე განხორციელებადი, – განმარტავს ვასო ურუშაძე.

სატრანსპორტო მიმართულებით რომ სწორი რეფორმა გატარდეს და ადგილობრივი ბაზარიც მეტად ლიბერალური და მოქნილი გახდეს, ამ შემთხვევაში ურუშაძის თქმით, საზღვაო ფლოტი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი დასაყრდენი. „hub Georgia“-ს დამფუძნებელი რამდენიმე ძირითად პერსპექტივაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც შესაძლოა საზღვაო ფლოტმა მოუტანოს საქართველოს. ესენია:

– საზღვაო ფლოტი ორი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს: ერთი, როცა ჩვენი დროშის ქვეშ მცურავი საზღვაო ხომალდები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახდენენ ოპერირებას და ტვირთების გადაზიდვას. მეორე ვარიანტია, როცა ჩვენი საზღვაო ფლოტის უდიდესი ნაწილი, რომელიც იქნება რეგისტრირებული ასევე საქართველოს დროშის ქვეშ, მოემსახუროს ჩვენივე ქვეყანას და მთლიანად რეგიონს. პირველი ვარიანტი, ბუნებრივია, უფრო მეტ ბენეფიტს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, მაგრამ ორივე ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა სფეროს განსავითარებლად, – აღნიშნავს ვასილ ურუშაძე.

# კონკურენციის სააგენტო: „ბანანის იმპორტიორი კომპანიის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ დადასტურდა“



ბანანის იმპორტიორი კომპანიის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ დადასტურდა. ამის შესახებ კონკურენციის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

კერძოდ, სააგენტომ არ დაიწყო მოკვლევა შპს „კავკასუს აგრო კომპანის“ საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა შპს „ჯეო ფრეშ გრუპის“ მიერ საქართველოს ბაზარზე ბანანის სისტემატურ გაყიდვას სავარაუდო თვითღირებულებაზე დაბალ ფასში.

– საქმის მასალების შესწავლისა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ, 2017-2018 წლებში საქართველოში იმპორტირებული და ექსპორტირებული ბანანის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოპასუხედ დასახელებულ ეკონომიკურ აგენტს – შპს „ჯეო ფრეშ გრუპს“ საქართველოს ბანანის ბაზარზე არ უკავია დომინირებული მდგომარეობა. კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი დარღვევა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტის მხრიდან, რომელსაც შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ივანე მაჭავარიანი: „15 თებერვლიდან ბიზნესი დღგ-ს ზედმეტობას ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნებს“




15 თებერვლიდან ბიზნესი დღგ-ს ზედმეტობას ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნებს, – განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა თბილისში მიმდინარე ეკონომიკურ კონფერენციაზე „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“.

როგორც მან აღნიშნა, გასულ წლებში საგადასახადო ორგანოები კონსერვატიულად უდგებოდნენ დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების პროცესს, რაც ბიზნესში იწვევდა იმის განცდას რომ დღგ-ს უკან დაბრუნების მოთხოვნა აუცილებლად დასრულდებოდა საგადასახადო შემოწმებით.

– 2018 წელი სწორედ ამ სტერეოტიპის დამსხვრევის წლად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ წელს უპრეცედენტოდ დიდი თანხა იქნა უკან დაბრუნებული (521 მლნ ლარი). 2019 წლის 15 თებერვლიდან, ანუ იანვრის თვის დეკლარაციების მიხედვით, დღგ-ს დაბრუნების პროცესი ხდება ავტომატური, რაც გულისხმობს, ყოველგვარი გადამოწმება-შემოწმების გარეშე, მოთხოვნილი თანხის ავტომატურ რეჟიმში დაბრუნებას 24 საათის განმავლობაში. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემა, ავტომატურად დაამუშავებს ყველა წარდგენილ დეკლარაციას და რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით გაფილტრავს იმ კომპანიებს, რომლებსაც ავტომატურად დაუბრუნდებათ მოთხოვნილი თანხა. ასეთი კომპანიების რაოდენობა, ზედმეტობის მქონე კომპანიების მინიმუმ 90% იქნება. ზემოაღნიშნული პრაქტიკულად გამორიცხავს ადამიანური ფაქტორის ჩართულობას ან რაიმე გავლენის მოხდენას დაბრუნების პროცესზე, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ეკონომიკური კონფერენციის ფარგლებში მიმდინარე პანელზე „ინოვაციური რეფორმები ფინანსურ სექტორში“.

# თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით მალე ფრენები შესრულდება



თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით ფრენები 2020 წლიდან შესრულდება.

ამის შესახებ „სერვის ეარ ჰოლდინგის“ დამფუძნებელი და დირექტორი ამირან მანჯავიძე აცხადებს.

– მიმდინარეობს მოლაპარაკებები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიასა და ჩვენს კომპანიას შორის. თბილისი-ზუგდიდის რეისების შესრულება 2020 წლიდან იგეგმება, ვინაიდან ზუგდიდში ფრენებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობს, ადგილობრივი აეროდრომი საჭიროებს რეაბილიტაციას, შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრომ მისი რეაბილიტაცია უნდა განახორციელოს, – განმარტავს ამირან მანჯავიძე.

კითხვაზე, რამდენად არის მოთხოვნა ზუგდიდის მიმართულებით ფრენებზე, მანჯავიძე ასე პასუხობს:

– თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით არა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე, არამედ მთელი წლის განმავლობაში მოთხოვნა ძალიან დიდია. აღნიშნულ მიმართულებაზე მოთხოვნა სამეგრელოში, კერძოდ კი ანაკლიის პორტის მშენებლობამ განაპირობა. მოგეხსენებათ, რომ პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, საკმაოდ საქმიანი ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა, აქედან გამომდინარე, ჩვენთან მომართვიანობამაც იმატა, – ამბობს ამირან მანჯავიძე.

newsmedia.ge

# „უმუშევრობა რომ ქვეყნის მთავარი გამოწვევაა, ამაზე კვლევის გარეშეც ვთანხმდებით“

– უმუშევრობა რომ ქვეყნის მთავარი გამოწვევაა, ამაზე კვლევის გარეშეც ვთანხმდებით, – ასე აფასებს NDI-ის კვლევას „ქართული ოცნების“ დეპუტატი ზაზა ხუციშვილი. პარლამენტარი აცხადებს, რომ ქვეყნის მთავარი პარტნიორის, ამერიკის ინსტიტუტს პატივს სცემს, თუმცა, თვლის, რომ კვლევის შედეგები ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს ნათლად არ ასახავს.

– ხშირად არის აცდენა რეალობასა და საზოგადოების განწყობას შორის. მაგალითად 2012 წლებში ყველაზე მაღალი პროცენტი ადამიანებისა თვლიდა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, სწორედ იმ წელს ხელისუფლება შეიცვალა. ე.ი. საზოგადოების განწყობა არ იყო კვლევის ადეკვატური. ასევე აცდენა იყო პოლიტიკური ლიდერების რეიტინგებს შორის. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ყურადღებით ვაკვირდები ამ სახის კვლევებს. რა თქმა უნდა, სიღარიბე ჩვენი ხელისუფლების მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით ძალიან ბევრ ნაბიჯს ვდგამთ, – აცხადებს ზაზა ხუციშვილი.

ზაზა ხუციშვილმა კომერსანტთან საუბრისას განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა არის სწორი.

– 2017 წელს ინფლაციამ თითქმის 7 პროცენტს მიაღწია, ამას ჰქონდა გარკვეული მიზეზები, მათ შორის, აქციზის გადასახადის ზრდა საწვავზე და ა.შ. თუმცა, 2018 წელს ის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდა. თუმცა მოსახლეობას, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმედ დააწვა ის ტვირთი, რომელიც 2017 წელს იყო. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ძალიან დიდი დისბალანსი გვაქვს საგარეო ვაჭრობაში და როდესაც ვალუტის კურსი ასე თამაშობს, ეს ყველაფერზე აისახება ადგილობრივ ბაზარზე.

მეზობელ ქვეყნებს, რომელთაც გაცილებით დიდი სავალუტო რეზერვები აქვთ, იმათაც კი დევალვაციის პროცენტი ჩვენზე მაღალი ჰქონდათ. ამიტომ, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ამ პროცენტების მართვა ძალიან ძნელია. ამაზეც ბევრს ვმუშაობთ. ძალიან ვწუხვართ, რომ მოსახლეობას პროდუქცია უძვირდებათ, მაგრამ სწორედ იმისკენ არის მიმართული ყველაფერი: აწარმოე საქართველოში, დანერგე მომავალი, რომ ჩვენ საკუთარი პროდუქცია გვქონდეს ბევრი და ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული იმპორტზე, მაგრამ ეს მალე ვერ მოხდება, ამ ყველაფერს წლები სჭირდება, – განაცხადა ზაზა ხუციშვილმა.

დეპუტატის თქმით, მმართველი გუნდი სრულად ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსახლეობამ თავი უკეთ იგრძნოს.

– რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე კარგი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ძალიან კარგად გვესმის ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხალხმა ამოისუნთქოს. ჩვენ მიერ გატარებული რეფორმები – ესტონური მოდელი და ა.შ. იქითკენ არის მიმართული, რომ ბიზნესს დარჩეს მეტი ფული, რომ საქმიანობა გააფართოოს. მცირე მეწარმეებს ბრუნვის გადასახადი ერთ პროცენტამდე შევუმცირეთ, 2018 წლის იანვრამდე საგადასახადო დავალიანება კი ყველა ბიზნესს ვაპატიეთ, მიზეზი სწორედ ის არის, რომ გაჩერებული ბიზნესსუბიექტები ამუშავდნენ და ეკონომიკა დაიძრას. სამუშაო ადგილები უნდა შექმნას ბიზნესმა და სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი, ეს არის მთავარი პრინციპი, – განმარტავს ზაზა ხუციშვილი.



„ქართული ოცნების“ დეპუტატისგან განსხვავებით, რადიკალური პოზიცია აქვთ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ NDI-ის კვლევა სრულად ასახავს იმ ტენდენციებს და გამოწვევებს რომელიც ქვეყანაშია.

– გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხალხს არა აქვს მომავლის იმედი, არ ენდობა ხელისუფლებას და მიაჩნია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. საზოგადოებრივი განწყობა ზუსტი ანარეკლია იმისა, რაზეც ყოველდღე საუბრობს ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი და ზოგადად საზოგადოება. ცუდი მდგომარეობაა სასამართლო სისტემაში, მატულობს დანაშაული, არ მცირდება სიღარიბე, უმუშევრობა, იზრდება ფასები. კარგია, რომ საზოგადოებაში მატულობს პროდასავლური განწყობა და მიუხედავად ხელისუფლების ბუნდოვანი და ზოგიერთი მაღალი იერარქიის სასულიერო პირის პრორუსული განწყობილებისა, საზოგადოებაში ამან ვერ ჰპოვა გამოძახილი. ესაა ამ კვლევის სასიამოვნო მხარე, – აცხადებს რომან გოცირიძე.

კვლევის შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, არც ევროპული საქართველოს წევრ გიგა ბოკერიასთვის. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი აცხადებს, რომ ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა დეტალურად ასახა, ყველა ის გარემოება, რომელიც ქვეყანაში ხდება.

– ეს კვლევა სამწუხაროდ ასახავს იმ მძიმე რეალობას რომელიც ქვეყანაში არის. ეს მნიშვნელოვან წილად შედეგია ივანიშვილის გუნდის საზიანო, მავნებლური და უპასუხისმგებლო პოლიტიკის. ის რომ მესამედზე ქვევით ჩამოვიდა იმ მოქალაქეების რიცხვი რომლებიც თვლიან, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის, არის პოლიტიკური განაჩენი. სამწუხაროდ, ამავე დროს, ეს არის ყოველდღიური განაჩენი უმძიმესი ცხოვრების ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის და ტენდენცია არის ის, რომ სიღარიბისა და უმუშევრობის მიმართულებით კიდევ უფრო მძიმდება ვითარება, – განმარტავს გიგა ბოკერია.

NDI-ის კვლევაში გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად ევროინტეგრაციის მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. გიგა ბოკერია აღნიშნულ ფაქტს დადებითად აფასებს და განმარტავს, რომ საქართველოს მოსახლეობას აქვს სურვილი იყოს თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრი.

– ის, რომ ჩვენი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი ფუნდამენტურ პოზიციაზე დგას, რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი სამყაროს ნაწილი, ეს არის ძალიან კარგი, მიუხედავად იმ საზიანო პოლიტიკისა, რომელსაც ივანიშვილის გუნდი ღია ატარებს პროპუტინურ ალიანსებთან, რაც ზღუდავს ჩვენს შანსებს თავისუფალ სამყაროში სრულფასოვანი დაბრუნების. აქედან სიმშვიდის განცდა არ უნდა შევიქმნათ, ეს ყოველდღიური ბრძოლის ნაწილია, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# ადვოკატი კუბლაშვილი: „ჯეკ შეფერდმა ქართული ციხე აირჩია“



– ჯეკ შეფერდმა ქართული ციხე აირჩია. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში დაკავებული ბრიტანეთის მოქალაქის ჯეკ შეფერდის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ჯეკ შეფერდის უარი ბრიტანეთის სახელმწიფოს გადაეგზავნება და მათთვის უკვე ოფიციალურად გახდება აღნიშნულის შესახებ ცნობილი.

– ჯეკ შეფერდმა უარი განაცხადა გამარტივებული წესით ექსტრადიციაზე. მან აირჩია ქართული ციხე, ვიდრე დაბრუნებულიყო გაერთიანებულ სამეფოში, სადაც საფრთხე ემუქრება. ეს მისი მხრიდან იყო ხმამაღალი განაცხადი.

შეფარდებული პატიმრობის განმავლობაში, ჩვენ შევისწავლით საქმის მასალებს, ვიმსჯელებთ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, საგამონაკლისო შემთხვევა არის, როცა იქაური ბრალდება, აქაური კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება. ამ შემთხვევაში პირი არ შეიძლება ექსტრადიციაში მიეცეს. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი სისხლის სამართლის საქმის შესწავლა. საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა ჩავრთოთ.

პროკურორის დღევანდელი ნება მნიშვნელოვანი იყო, მათ ხაზი არ გაუსვეს იმას, რომ აუცილებლად არ სურთ პირის დაჩქარებული წესით ექსტრადიცია. ჯეკ შეფერდის უარი გადაეგზავნება ბრიტანეთს. მათთვის ოფიციალურად ცნობილი იქნება სასამართლოს მიერ დამტკიცებული შეფერდის ნება, რომ დარწმუნებულია, ქართულ ციხეში მოიხადოს სასჯელი. ის გლდანის მერვე დაწესებულებაში გუშინ მოვინახულე, ნორმალური პირობები აქვს, თავს უსაფრთხოდ გრძნობს, – განაცხადა კუბლაშვილმა.

ბრიტანეთის მოქალაქე ჯეკ შეფერდი, რომელიც საქართველოში მიმალვაში იმყოფებოდა, ახალგაზრდა ქალის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაშია მსჯავრდებული. უცხოური მედიის ინფორმაციით, შეფერდი საკუთარ კატერს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, სიჩქარის გადაჭარბების გამო კატერი გადაბრუნდა, რასაც მისი მეგობარი გოგონა, 24 წლის შარლოტა ბრაუნის სიცოცხლე ემსხვერპლა.




ჯეკ შეფერდი ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში 23 იანვარს ადვოკატებთან ერთად გამოცხადდა და საქართველოს პოლიციას ჩაჰბარდა.

# ოკაცეს კანიონზე მუშა დაიღუპა

## ის 70 მეტრიდან ხევში ჩავარდა

ოკაცეს კანიონზე მუშა დაიღუპა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცს სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ფეხი აუცურდა და 70 მეტრი სიმაღლიდან ხევში ჩავარდა.

სამაშველო ბრიგადამ ხევიდან ის ცოცხალი ამოიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.




ადგილზე სამუშაოებს კომპანია „ინტერ ტექნოლოჯი“ ახორციელებს.

მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# სიღნაღში მანქანა 30 წლის ქალს დაეჯახა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ავტომობილი 30 წლის ქალს დაეჯახა. მას სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება.

დაშავებული თავდაპირველად წნორის „არქიმედეს კლინიკაში“ მოათავსეს, მოგვიანებით კი თბილისში გადმოიყვანეს.

შემთხვევა 28 იანვარს, ღამით მოხდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# მტკვარში მამაკაცი გადახტა

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინეს.

მიმდინარე წლის 28 იანვარს 112-ში შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხიდიდან მდინარე მტკვარში მამაკაცი გადახტა.




საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი შეტყობინების მიღებიდან რამდენიმე წუთში გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე. პატრულ-ინსპექტორებმა სწრაფი რეაგირების შედეგად წყალში მყოფი მოქალაქე ამოიყვანეს და პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.

„მამაკაცი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება,“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პეკინზე ავტომობილი კურიერს დაეჯახა

გუშინ, 29 იანვარს, თბილისში, პეკინის ქუჩაზე, მსუბუქი ავტომობილი მოტოციკლს დაეჯახა, რომელსაც კურიერი მართავდა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული პირი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# „აგინებდა ბიძამისი, სცემდა ბავშვებს, საშინელება ხდებოდა“

## პოლიციამ ი.ს. დააკავა



არასრულწლოვანზე ძალადობის ბრალდებით გორის რაიონში, ერთ-ერთ დევნილთა ჩასახლებაში, 30 წლამდე მამაკაცი დააკავეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ახალგაზრდა მამაკაცს გამოძიება ცოლის დისშვილის ცემას ედავება.

როგორც დაკავებულის მეზობლები „ნიუპოსტს“ უყვებიან, მამაკაცი ბავშვზე სისტემატურად ძალადობდა. სავარაუდო მოძალადის დაკავების შემდეგ, ძალადობის მსხვერპლი და მისი ძმა ხაშურის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში გადაიყვანეს.

– ობლები არიან ბავშვები, დეიდა ზრდიდა. ჩვენ ვიცით, რომ ხშირად ძალადობდნენ. აგინებდა ბიძამისი, სცემდა ბავშვებს. საშინელება ხდებოდა. გუშინ იყო პოლიცია, გამოკითხეს ბავშვებიც, დიდმა გოგომ მოუყვა ყველაფერი, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1992 წელს დაბადებული ი.ს. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის თანდასწრებით არასრულწლოვანზე განხორციელებული ოჯახში ძალადობის ბრალდებით გორის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავის საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ, 2010 წელს დაბადებულ, უდედმამოდ დარჩენილ ცოლის დისშვილს ოჯახის სხვა არასრულწლოვანი წევრის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პოლიციამ ი.ს. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დააკავა. შსს-ს ცნობით, ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი და აღნიშნული ძალადობის შემსწრე მისი და-ძმა კი სოციალური სააგენტოს თანამშრომლებმა სოციალური მომსახურების სააგენტოს საოჯახო ტიპის სახლში გადაიყვანეს.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის თანდასწრებით არასრულწლოვანზე განხორციელებულ ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ბათუმის სასამართლოში ბრალდებულები აერიათ

გუშინ, 28 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში პროცესი იმის გამო გადაიდო, რომ ბადრაგებს ბრალდებულები ერთმანეთში აერიათ.

უზბეკეთის მოქალაქის მკვლელობის საქმის განხილვაზე სასამართლო დარბაზში ბრალდებულ ლევენთ ულუს ნაცვლად სხვა ბრალდებული შემოიყვანეს, რომელსაც ამ საქმესთან შემხებლობა არ ჰქონდა.

ლევენთ ულუს ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ დარბაზში მისი კლიენტი არ იმყოფებოდა. ბადრაგებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ შესაძლოა ის ექსპერტიზაზე ყოფილიყო გადაყვანილი, რაც პროკურატურამ უარყო. პროკურატურის წარმომადგენელი ირწმუნებოდა, რომ მათ ექსპერტიზა არ დაუნიშნავთ.

შეცდომით შემოყვანილი ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან მალევე გაიყვანეს, თუმცა მოსამართლე ლევან გელოვანმა უზბეკი ქალის მკვლელობის საქმე გადადო, რადგან ლევენთ ულუ სასამართლო შენობაში საერთოდ არ იყო.

გაირკვა, რომ ის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან არ გადმოუყვანიათ.

– რამდენადაც ცნობილია, დღესდღეობით ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი №2 პენიტენციარულ დაწესებულებაში იმყოფება, წარმოუდგენლობის მიზეზი უცნობია, რადგან არანაირი წერილი არ მიგვიღია, რომელიც ახსნიდა ობიექტურ მიზეზს, რატომ არ მოხდა ბრალდებულის გადმოყვანა სასამართლო პროცესზე, – ამბობს განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატი.



ბათუმის სასამართლოში განმარტეს, რომ ამ საქმეზე ბრალდებული პირი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდა პროცესზე. სასჯელაღსრულებისგან გამოგზავნილი წერილი სასამართლომ გვიან ნახა.

# პირველ გალში 25 წლის ჰამლეტ ჯეჯეია დაჭრეს

## მამაკაცი ზუგდიდში გადმოიყვანეს



ოკუპირებულ აფხაზეთში, სოფელ პირველ გალში, საქართველოს მოქალაქე დაჭრეს. 25 წლის მამაკაცი ჰამლეტ ჯეჯეია ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში იმყოფება.

ექიმის ინფორმაციით, მამაკაცს ჭრილობები ცივი იარაღით მარცხენა ფეხის ბარძაყსა და მუცლის არეში აქვს მიყენებული. დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სისხლიანი გარჩევა ოკუპირებულ აფხაზეთში, სოფელ პირველ გალში 28 იანვარს მოხდა. ჰამლეტ ჯეჯეიას ახლობლებმა დაჭრილის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც ე.წ. საზღვარზე 15 ათასი რუბლი გადაიხადეს.

დაჭრილის ოჯახის წევრები კამერებთან საუბარს ერიდებიან და ამბობენ, რომ მომხდარის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

არსებული ინფორმაციით, საქმე აფხაზეთის ე.წ. პოლიციაში სიცოცხლის განზრახ მოსპობის მუხლით არის აღძრული.

# 4 ლეპტოპის მოპარვისთვის გ.მ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდობის ფაქტი გახსნა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, პირობითი მსჯავრი ქვეშ მყოფი, 1973 წელს დაბადებული გ.მ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.მ.-მ მიმდინარე წელს, თბილისში, ჯანაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ოფისიდან ოთხი ლეპტოპი მოიპარა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# თბილისში მანქანების ქურდობის ბრალდებით 18 წლის ბიჭი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდობის ბრალდებით თბილისში 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ს.ს. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა აღნიშნულ ქუჩაზე 3 მსუბუქი ავტომანქანა გაქურდა. სამართალდამცველებმა ს.ს. თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მცდელობისას დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გუაიდო: „ჯარი მალე ჩვენს მხარეზე გადმოვა“

## მადურო ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდებს



ვენესუელას დროებითი პრეზიდენტის ხუან გუაიდოს განცხადებით, შეიარაღებული ძალები მალე მის მხარეს გადავლენ.

ამის შესახებ ხუან გუაიდომ გერმანული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ჯარისკაცების 75-80% ისე ცხოვრობს, როგორც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი – შიმშილსა და სასოწარკვეთილებაში. მათი ხელფასი საკმარისი არ არის ოჯახების სარჩენად. უკმაყოფილება ყველგან ერთი და იგივეა. სამხედროებს შორის გვაქვს მხარდაჭერა და დარწმუნებული ვარ, რომ მალე ისინი ჩვენ მხარეს გადმოვლენ, – განაცხადა ვენესუელას დროებითმა პრეზიდენტმა.

მან აღნიშნა, რომ ნიკოლას მადუროს ხელისუფლება კანონსაწინააღმდეგოა და მისი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ამოიწურა.

თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწემ, ჯონ ბოლტონმა ვენესუელას შეიარაღებულ ძალებს ოპოზიციის მხარეს გადასვლისკენ მოუწოდა.

თავად ნიკოლას მადურომ დონალდ ტრამპს მოუწოდა, თავი დაანებოს ვენესუელას.

– გადატრიალება ვენესუელაში? არ გამოვა! ნუ ერევი ვენესუელას საქმეებში, ხელები შორს ვენესუელისგან! დაუყოვნებლივ! ტრამპო, პასუხისმგებელი ხარ ნებისმიერ ძალადობაზე, რომელიც ვენესუელაში შეიძლება მოხდეს. სისხლი, რომელიც შეიძლება ვენესუელაში დაიღვაროს, თქვენზე იქნება, – განაცხადა ნიკოლას მადურომ.

მან ასევე მიმართა ოპოზიციას და მოუწოდა, კეთილგონიერება გამოიჩინოს და დიალოგი დაიწყოს.

– კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ვენესუელას სასარგებლოდ მზად ვარ, მოლაპარაკებები დავიწყო ოპოზიციასთან, სადაც უნდათ და როდესაც უნდათ. ჩვენ ხალხს მოვუწოდებთ გაერთიანებისკენ, მშვიდობისკენ და კონსტიტუციის პატივისცემისკენ. ოპოზიციას კი მოვუწოდებ, კეთილგონიერება გამოიჩინონ. დროა, ეროვნული დიალოგი გამოვაცხადოთ, – დასძინა მან.

# უკრაინულ არჩევნებზე რუს დამკვირვებლებს არ დაუშვებენ



31 მარტს უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რუს დამკვირვებლებს არჩევნებზე არ დაუშვებენ.

– რუსეთი აგრესორია, შესაბამისად, არჩევნებზე ამ ქვეყნის დამკვირვებლების დაშვება გაუმართლებელია, – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა.

ამ სიტყვებმა კრემლის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა მაია გრიშინამ განაცხადა, რომ რუსი დამკვირვებლები ეუთო-ს დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ და უკრაინულ არჩევნებს მაინც დაესწრებიან.

– ეუთო-ს მისიას უკრაინელები ვერაფერს მოუხერხებენ! – დაიქადნა გრიშინამ.



# ტრამპი: „კედლის აშენების თაობაზე შეთანხმების შანსები მცირეა“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „უოლ სთრით ჯორნალს“ ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ მექსიკასთან კედლის აშენების თაობაზე შეთანხმების შანსები მცირეა.

– მოლაპარაკებებში ორივე მხრიდან ძალიან კარგი ადამიანები მონაწილეობენ. მიუხედავად ამისა, შეთანხმების შანსები მცირეა, – თქვა ტრამპმა.

შეკითხვაზე, მაინც ამ შანსებს როგორ შეაფასებთო, ტრამპმა მიუგო, რომ შეთანხმების მიღწევის შანსი 50%-ზე ნაკლებია.

# დალსპეცსტროის ყოფილი ხელმძღვანელი მკვდარი იპოვეს



დალსპეცსტროის ყოფილი ხელმძღვანელი დიმიტრი სავინი თავის ეზოში მკვდარი იპოვეს. ჭრილობა მიყენებული აქვს თავისი ცეცხლსასროლი იარაღით.

– სავარაუდოდ, სავინმა თავი მოიკლა, – იტყობინება გაზეთი „კომერსანტი“. პოლიცია სხვა ვერსიებსაც განიხილავს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ქალი ერთდროულად ორი მამაკაცისგან დაფეხმძიმდა



დიდ ბრიტანეთში გეი წყვილს ბავშვები სუროგატი დედისგან შეეძინა, რომელიც ორივე მშობელმა ერთდროულად გაანაყოფიერა. ამ ქვეყანაში ეს ასეთი პირველი შემთხვევაა.

საიმონ და გრემ ბერნი-ედვარდსები გაცნობისთანავე სრულფასოვანი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდნენ, რომელშიც ბავშვებიც იქნებოდნენ. მათ ლოს-ანჯელესის ხელოვნური განაყოფიერების სამედიცინო დაწესებულებას მიმართეს, მათი ბავშვების სუროგატ დედობაზე 32 წლის მერ სტოუნი 25 ათასი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ დათანხმდა.

გეი წყვილი დიდხანს ვერ იღებდა გადაწყვეტილებას იმის შესახებ თუ რომელი უნდა გამხდარიყო მათი მომავალი ბავშვის ბიოლოგიური მამა. სამედიცინო დაწესებულებაში ისინი დაარწმუნეს, რომ ორივეს შეეძლო ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. საბოლოოდ ქალი ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, ორივე მამაკაცისგან დაფეხმძიმდა.

ბავშვები ალექსანდრა და კოლდერი სრულიად ჯანმრთელები დაიბადნენ და უკვე მამებს დაემგვანნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადოთვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკაველობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკაველობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ფუტსალის ნაკრები მსოფლიოს შესარჩევს იწყებს




საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. ავთანდილ ასათიანის გუნდმა სრული შემადგენლობით პირველი ვარჯიში გამართა. ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრები 14 ფეხბურთელით ემზადება მომავალი მატჩებისთვის, შეკრებაზე მყოფი ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა.

ჩვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის დ ჯგუფში გერმანიის, დანიისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებთან ერთად იასპარეზებს. პირველ შეხვედრას საქართველოს ნაკრები დღეს, 20:30 საათზე, თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გერმანიის წინააღმდეგ გამართავს.

ჯგუფური ეტაპის ყველა შეხვედრაზე დასწრება გულშემატკივარს უფასოდ შეუძლია.

**საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: ზვიად კუპატაძე (ტტგ-იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (ტატიშვილი);

**მცველები**: თალესი (ეკონომაცი, სერბეთი), შოთა თოფურია (თელასი), ნიკოლოზ ზედელაშვილი (ლიდსელმაში, ბელარუსი);

**თავდამსხმელები**: ვახტანგ ჯვარაშვილი (კრემლინ-ბისეტრე იუნაიტედი, საფრანგეთი), ვახტანგ კეკელია (ტატიშვილი), ნიკოლოზ კურტანიძე (პსპ), რონინიო (ხერსონი, უკრაინა), გია ნიყვაშვილი (ვალეტა, მალტა), სიმი საიოტი (კპრფ, რუსეთი), ფუმასა (პატო, ბრაზილია), არჩილ სებისკვერაძე, ირაკლი თოდუა (ორივე ლიდსელმაში, ბელარუსი).

**შესარჩევი რაუნდის დ ჯგუფის სრული განრიგი:**

**30 იანვარი**: დანია-ისრაელი (17:30); საქართველო-გერმანია (20:30);

**31 იანვარი**: გერმანია-დანია (17:30); საქართველო-ისრაელი (20:30);

**2 თებერვალი**: ისრაელი-გერმანია (17:30); დანია-საქართველო (20:30).

# ბითაძეს სკაუტები აკვირდებიან

10-მდე სკაუტი ესწრებოდა გოგა ბითაძისა და ბუდუჩნოსტის მატჩს ადრიატიკის ლიგაზე, სადაც ჩერნოგორიულმა კლუბმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. პოდგორიცელები ლიუბლიანაში ოლიმპიას შეხვდნენ და 77:72 დაამარცხეს. 19 წლის ქართველმა ცენტრმა რიგიანად ითამაშა და გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო.



19 წლის ბითაძე სათადარიგო იყო და მოედანზე 22 წუთით გამოჩნდა, რაც იმ ნაადრევი ჯარიმების გამო იყო, რაც მას თავიდანვე დაუგროვდა.

გოგამ 7-დან 4 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, რამაც მთლიანობაში 10 ქულა შეადგინა. ამასთან, ქართველ ცენტრს 6 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასიც ჰქონდა. გოგას მარგი ქმედების კოეფიციენტმა 11 შეადგინა, რაც თანაგუნდელთა შორის მესამე მაჩვენებელი გახლდათ.

თამაშის დასრულებისთანავე იესპიენის ანალიტიკოსმა მაიკ შმიტცმა ბითაძისა და სამანიჩის შესახებ ისაუბრა. ცხადია, ჩვენ მხოლოდ გოგას ამბავი გვაინტერესებს.

აი, რას წერს **მაიკ შმიტცი:**

– მეტნაკლებად კარგი თამაში ბითაძისთვის. პირველივე ტაიმში ბევრი ფოლი მიიღო და როგორც სივრცის ამთვისებელმა, თავი ვერ დაგვამახსოვრა. თუმცა, მაინც კარგად გამოჩნდა მისი ბლოკებისა და მოხსნების პოტენციალი. კარგად მოძრაობდა მოედანზე. ჩვენ მას კიდევ ერთხელ, 7 თებერვალს ვნახავთ, ხიმკის წინააღმდეგ.

17 ტურის შემდეგ 12 მოგებით ბუდუჩნოსტი ადრიატიკის ლიგაში მე-3 ადგილზეა. მომდევნო შეხვედრა შინ, ასევე ჩერნოგორიულ მორნართან ელის.

# შედეგები

**28 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აზიის თასი**

ირანი-იაპონია ............ 0:3

**ამხანაგური მატჩი**

აშშ-პანამა ............ 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-რაიო ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 15 | 4 | 2 | 58-21 | 49 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 12 | 8 | 1 | 32-13 | 44 |
| 3.რეალი | 21 | 12 | 3 | 6 | 34-26 | 39 |
| 4.სევილია | 21 | 10 | 6 | 5 | 36-22 | 36 |
| 5.ალავესი | 21 | 9 | 5 | 7 | 22-24 | 32 |
| 6.ხეტაფე | 21 | 8 | 7 | 6 | 25-18 | 31 |
| 7.ვალენსია | 21 | 6 | 11 | 4 | 22-18 | 29 |
| 8.ბეტისი | 21 | 8 | 5 | 8 | 25-26 | 29 |
| 9.სოსიედადი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-24 | 27 |
| 10.ეიბარი | 21 | 6 | 8 | 7 | 26-30 | 26 |
| 11.ბილბაო | 21 | 5 | 11 | 5 | 22-26 | 26 |
| 12.ლევანტე | 21 | 7 | 5 | 9 | 32-40 | 26 |
| 13.ვალიადოლიდი | 21 | 6 | 7 | 8 | 19-24 | 25 |
| 14.ხირონა | 21 | 5 | 9 | 7 | 23-28 | 24 |
| 15.ესპანიოლი | 21 | 7 | 3 | 11 | 23-34 | 24 |
| 16.ლეგანესი | 21 | 5 | 8 | 8 | 20-26 | 23 |
| 17.რაიო | 21 | 6 | 5 | 10 | 25-36 | 23 |
| 18.სელტა | 21 | 5 | 6 | 10 | 33-36 | 21 |
| 19.ვილიარეალი | 21 | 3 | 9 | 9 | 21-29 | 18 |
| 20.უესკა | 21 | 2 | 6 | 13 | 17-39 | 12 |

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-ჯენოა ............ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 19 | 2 | 0 | 43-12 | 59 |
| 2.ნაპოლი | 21 | 15 | 3 | 3 | 39-18 | 48 |
| 3.ინტერი | 21 | 12 | 4 | 5 | 31-15 | 40 |
| 4.მილანი | 21 | 9 | 8 | 4 | 28-20 | 35 |
| 5.რომა | 21 | 9 | 7 | 5 | 40-29 | 34 |
| 6.სამპდორია | 21 | 9 | 6 | 6 | 39-26 | 33 |
| 7.ატალანტა | 21 | 9 | 5 | 7 | 47-30 | 32 |
| 8.ლაციო | 21 | 9 | 5 | 7 | 30-25 | 32 |
| 9.ფიორენტინა | 21 | 7 | 9 | 5 | 32-24 | 30 |
| 10.ტორინო | 21 | 7 | 9 | 5 | 27-22 | 30 |
| 11.სასუოლო | 21 | 7 | 8 | 6 | 33-32 | 29 |
| 12.პარმა | 21 | 8 | 4 | 9 | 21-27 | 28 |
| 13.ჯენოა | 21 | 6 | 5 | 10 | 28-38 | 23 |
| 14.სპალი | 21 | 5 | 6 | 10 | 19-30 | 21 |
| 15.კალიარი | 21 | 4 | 9 | 8 | 19-30 | 21 |
| 16.უდინეზე | 21 | 4 | 6 | 11 | 17-29 | 18 |
| 17.ემპოლი | 21 | 4 | 5 | 12 | 25-42 | 17 |
| 18.ბოლონია | 21 | 2 | 8 | 11 | 16-34 | 14 |
| 19.ფროზინონე | 21 | 2 | 7 | 12 | 16-42 | 13 |
| 20.კიევო | 21 | 1 | 8 | 12 | 17-42 | 8 |

**შენიშვნა**: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ვერონა-კოზენცა ............ 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბეზიე-პარიზი ............ 0:1

კლერმონი-ლე ავრი ............ 0:0

ტრუა-ლანსი ............ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-რიუ ავე ............ 0:2

მორეირენშე-ნასიონალი ............ 2:1

ტონდელა-ავიში ............ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ალანია ............ 0:2

ბაშაქშეჰირი-ქაშიმფაშა ............ 2:0

ფენერბახჩე-მალათია ............ 3:2

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბორჯღალოსნებში იძულებითი ცვლილებაა

## სოსო მათიაშვილს სანდრო თოდუა შეცვლის

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალი სეზონისთვის ემზადება. მილთონ ჰეიგის გაწვრთნილი გუნდი 9 თებერვალს რუმინეთთან სტუმრად ითამაშებს, ხოლო 17 თებერვალს შინ ესპანეთს დაუხვდება..



ნაკრების მზადება თბილისში, შევარდენის ბაზაზეა. ფიტნეს-ტესტებისა და ვარჯიშების გარდა, გულშემატკივარს ერთი სიახლე ელის: დღეს, ბორჯღალოსნები ერთმანეთში კონტროლირებად თამაშს გამართავენ. შეხვედრა 11 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება გულშემატკივრისთვის თავისუფალი იქნება. სამწვრთნელო შტაბის თქმით, მორაგბეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თამაშს ბევრი გულშემატკივარი დაესწროს.

ერთია, ბორჯღალოსნების საწვრთნელ რაზმში იძულებითი ცვლილებაა – ფულბეკი სოსო მათიაშვილი დაშავდა და გუნდს რუმინეთთან და ესპანეთთან ვერ დაეხმარება. მის ნაცვლად მწვრთნელებმა გამოცდილ სანდრო თოდუას უხმეს. მას სანაკრებო დებიუტი 2008 წელს ჰქონდა, დღემდე 75 კეპი მოიხვეჭა და 11 ლელო გაიტანა.

**მილთონ ჰეიგი:**

– სოსო მათიაშვილმა მყესი დაიზიანა და საწყის მატჩებში დაგვაკლდება. მის ნაცვლად გუნდში სანდრო თოდუას ვუხმეთ. გაგვიმართლა, რადგან სანდრომ ტრავმა მოიშუშა და კარგ ფორმაშია. მისი გამოცდილება გუნდს ერთი ასად გამოადგება. სოსო ჩვენთან დარჩება და ტრავმის რეაბილიტაციას ნაკრების სამედიცინო ჯგუფის მეთვალყურეობის ქვეშ გაივლის. ვიმედოვნებთ, რომ ის რაგბი ევროპის ბოლო 3 მატჩში დაგვეხმარება.

შეგახსენებთ, რომ მათიაშვილის გარდა, ტრავმების გამო ბორჯღალოსნებს რაგბი ევროპის ჩემპიონატის მინიმუმ 2 მატჩში ნაკრებს ანტონ ფეიქრიშვილი, ბადრი ალხაზაშვილი, კახა ასიეშვილი, ვიტო კოლელიშვილი, დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე, სანდრო სვანიძე, კოტე მიქაუტაძე, ლაშა ტაბიძე და გურამ შენგელია ვერ დაეხმარებიან.

# ლუკა ზარანდია: „უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადასვლა ჩემი მიზანია“



საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კანდიდატი ლუკა ზარანდია პოლონეთში კარგად ირჯება და საკმაოდ კარგი პრესაც აქვს.

ჩვენებურს ჟურნალისტებიც ხშირად აწუხებენ. გთავაზობთ ერთ-ერთ ინტერვიუს.

***– ლუკა ზარანდია არკას საუკეთესო მოთამაშეა. მსგავს შეხედულებას როგორ ხვდებით?***

– კარგია, როდესაც ვინმე ჩემ შესახებ ასე საუბრობენ, მაგრამ მე ვერ ვიტყოდი, რომ საუკეთესო ვარ, ეს ჩემი სტილი არ არის. ასეც რომ ვფიქრობდე, ამას არ ვიტყვი. ეს ხალხის აზრია. ფეხბურთი არაა ინდივიდუალური სპორტი, ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს ძალიან კარგი ფეხბურთელებით.

***– 10-ნომრიან მაისურს ყველა ვერ იღებს.***

– ეს ჩემი ფავორიტი ნომერია. ამ მაისურით აქამდე მათეუშ შვოცი თამაშობდა და როდესაც წავიდა, ვაკანტური დარჩა. მანამდე 7-ნომრიანით ვთამაშობდი, მასეკ იანკოვსკიმ მთხოვა, რომ მისთვის დამეთმო. მეც 10-იანი ავიღე. ვიცი, რომ მოედანზე ნომერი არ თამაშობს, მაგრამ თითქოს მასთან დაკავშირებული ვარ. ახალგაზრდულ ნაკრებსა და ლოკომოტივში ამ მაისურით ვთამაშობდი.

***– ტალანტი და უნარები გაქვთ, მაგრამ ამბობენ, რომ ცოტა ზარმაცი ხართ.***

– ამას ვინ ამბობს?

***– ამის შესახებ ინტერნეტში ეწერა და ამას არც თქვენ უარყოფდით.***

– შეიძლება ცხოვრებაში ზარმაცი ვარ, მაგრამ არა მოედანზე. ვარჯიში ჩემთვის სასჯელი არაა. ასე რომ იყოს, თამაშს თავს დავანებებდი. ბურთი ჩემთვის დიდი პატივია. ვცდილობ, თითოეულ ვარჯიშსა და თამაშზე ბოლომდე დავიხარჯო.

***– თქვენზე თქვეს, ისეთივე შრომისმოყვარე რომ იყოს, როგორიც დემინენ ზბოზიენია, მანჩესტერ იუნაიტედში ითამაშებდაო. ეს თქვენი თანაგუნდელის, მიხალ ნელეპის აზრია.***

– ესეც წავიკითხე. ტრანსფერისთვის რამდენიმე რამაა საჭირო. პირველ რიგში, დემიენივით უნდა ვივარჯიშო და შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედს უნდა მოვუნდე.

***– ინტერვიუებში არ მალავდით, რომ არკას დატოვება და უფრო ძლიერ ლიგაში წასვლა გსურდათ, განსაკუთრებით, ტოპ 5 ლიგაში გსურთ თამაში.***

– ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს. ალბათ, პოლონეთში ყველა მოთამაშე ფეხბურთელს სურს, რომ ინგლისში, ესპანეთში ან იტალიაში წავიდეს. არ ვღელავ. უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადასვლა ჩემი მიზანია, მაგრამ არა აქ და ახლა. ამ მიზანს ნელ-ნელა ვუახლოვდები. დაველოდები, როცა კარგი კლუბისგან ისეთი შემოთავაზება მოვა, რომელიც მეც და არკასაც დაგვაკმაყოფილებს.

***– ეს ზამთარში არ მოხდება?***

– არა.

***– შემოთავაზება არ გქონია?***

– ინტერესი იყო, თუმცა არა იმ მიმართულებიდან, რომელიც მსურს.

# ბათუმმა ისევ რუსთაველთან წააგო

**ხარები-ბათუმი 13:8**

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ხარებმა ლიდერს, ბათუმს რუსთავში უმასპინძლა და 13:8 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ბათუმმა მიმდინარე სეზონში სულ 2 თამაში წააგო და ორივე ხარებთან. შედეგად, ქვემოქართლელები ზღვისპირელებს მიუახლოვდნენ.



მასპინძლებმა დაძაბულ მატჩში მნიშვნელოვანი უპირატესობა დებიუტშივე მოიპოვეს. მათ ჯერ საჯარიმო ლელო გამოიმუშავეს, მერე კი კობა ბუჯიაშვილმა ჯარიმა გაიტანა და 10:0 მე-10 წუთზე და შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

ბათუმი თამაშში მეორე ტაიმში დაბრუნდა: 53-ე წუთზე მამუკა ნინიძემ ლელო გაიტანა, თუმცა გარდასახვა არაზუსტი იყო. სამაგიეროდ, მან 72-ე წუთზე ჯარიმიდან კიდევ 3 ქულა აიღო, მაგრამ ხარებმა ძალები მოიკრიბა, ქულა აღარ მიიღო, ხოლო წერტილი გიორგი ბასილაიამ არეკნით დასვა და რუსთაველებმა მნიშვნელოვან მატჩში 13:8 იმარჯვეს.

**არმია-ლოკომოტივი 9:28**

აუტსაიდერი არმია ჩემპიონ ლოკომოტივთან ვერაფერს გახდა, 4 ლელო გაუშვა და 9:28 დამარცხდა. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა კი, ბონუსიც ჩაიწერა და გასული წლის მიწურულს დაკარგული მეორე ადგილი დაიბრუნა.

ანგარიში არმიელებმა ბახვა კობახიძის ჯარიმით გახსნეს, თუმცა ლოკომოტივმა ტემპს იქვე მოუმატა, ვახტანგ ამირანაშვილმა ხაზი გაჭრა, შებოჭილმა ზურაბ ძნელაძეს ოფლოუდი გაუხერხა და მისი ლელო ბექა წიკლაურმა მე-8 წუთზე გარდასახა. ლოკომოტივი სრულად დაეუფლა სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას, ტაიმის შუაში მოლი ააგორა და ის ირაკლი ქვათაძის ლელოთი დასრულდა, ხოლო წიკლაური არც ამჯერად შეცდა.

4 წუთში ჩემპიონებმა დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაითამაშეს, ბურთი ხაზზე სწრაფად გაიტანეს, ლევან გოგოლაშვილმა ხაზი სუფთად გაჭრა და ლელომდე 35 მეტრი ირბინა, ხოლო წიკლაურმა ანგარიში 21:3 გახადა. ტაიმი ასე დასრულდა, თუმცა მანამდე, გაწითლებულ დროზე, გუნდური ჩხუბი ატყდა. შედეგად, ლაშა გედეხაური და შალვა ზვიადაური წითელი ბარათებით დაისაჯნენ.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო, ოღონდ ამჯერად კობახიძემ 2 ჯარიმა გაიტანა და სხვაობა 12 ქულამდე დაიყვანა. მალე დაჩი კოპაძე სინბინით დაისაჯა, თუმცა კაცნაკლულმა ლოკომოტივმა მოახერხა ინიციატივის დაუფლება, ხოლო მეორე ტაიმის შუაში, 2 წუთის ინტერვალში, არმიამ სინბინით თორნიკე გოგლიძე და საბა ნიკოლავა დაკარგა. 14-მა რკინიგზელმა ორკაციანი უპირატესობა 67-ე წუთზე გამოიყენა და ზვიად მაისურაძემ 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ ლელო გაიტანა, ხოლო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ორი შვილის დედა მკერდის გადიდების ოპერაციას ემსხვერპლა



ჩინეთში ქალმა ოჯახისგან მალულად გადაწყვიტა მკერდის გადიდების ოპერაცია გაეკეთებინა და ქირურგიულ მაგიდაზე გარდაიცვალა.

გუანსი-ჩჟანის ავტონომიური რაიონის ქალაქ ლიუჩჟოუს მცხოვრებმა გვარად ლიმ პლასტიკური ქირურგიის საავადმყოფოს იანვრის შუა რიცხვებში მიაკითხა. 32 წლის ქალმა გადაწყვიტა მკერდის გადიდების პროცედურა საკუთარი ცხიმის გამოყენებით მეუღლის სურვილის საწინააღმდეგოდ გაეკეთებინა. მამაკაცი ოპერაციაზე უარს იპოთეკის ხარჯებისა და ორი ბავშვის გამო ეუბნებოდა. ამის მიუხედავად ქალმა 20,3 ათასი იუანი წლინახევრის ვადით სამედიცინო ხარჯებისთვის ვალად აიღო.

პროცედურის დროს, რომლის დროსაც ფეხიდან ცხიმს ულებდნენ, ქალი მოულოდნელად ცუდად გახდა. ნარკოზში მყოფი ქალის პულსმა მკვეთრად ვარდნა დაიწყო, სუნთქვა შეწყვიტა. მომაკვდავი ქალი ჯერ ტრადიციული მედიცინის საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ კი ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში. მის მეუღლეს მომხდარის შესახებ აცნობეს და ხუთი ათასი იუანი მისცეს სამედიცინო ხარჯებისთვის.

ქალის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე ვერ ახერხებს პლასტიკური ქირურგიის საავადმყოფოს თანამშრომლებთან დაკავშირებას და დღემდე არ იცის იმ ქირურგის სახელი, რომელიც ლის ოპერაციას უკეთებდა. ქალის გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

# 20-მეტრიან ჭაბურღილში ჩავარდნილი ბავშვი გადაარჩინეს




ინდოეთის მადხია–პრადეშის შტატში ორი წლის ბავშვი 20-მეტრიან ჭაბურღილში ჩავარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი კვირას იმ დროს მოხდა, როდესაც ბიჭი სოფელ კერხერში ჭაბურღილის მახლობლად თამაშობდა. მაშველები შემთხვევის ადგილზე 45 წუთში მივიდნენ. მათ ჭაბურღილის პარალელურად გამავალი გასასვლელი გათხარეს და ბავშვი ამოიყვანეს.

ვარდნის შედეგად ბავშვი არ დაშავებულა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ გადარჩენის შემდეგ ბავშვს სხეულზე ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ის მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რამდენიმე საათი გაატარა.

ხელისუფლება აცხადებს, რომ ჭაბურღილის ბურღვის უფლება მათ არ გაუციათ. მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

# მამაკაცმა შვილის გადასარჩენად ნიანგს უკბინა



ფილიპინების პალავანის პროვინციის ქალაქ ბალაბაკში მამამ თავის 12 წლის შვილი გადაარჩინა, რომელსაც თავს ნიანგი დაესხა.

რეპტილია იმ დროს გამოჩნდა, როდესაც მოზარდი მდინარეში თავის უმცროს ძმასთან ერთად ბანაობდა. მტაცებელმა ბიჭს პირი მარცხენა ხელში სტაცა და წყლის ქვეშ მის ჩათრევას შეეცადა. უმცროსი ძმა სახლში გაიქცა და მომხდარის შესახებ მშობლებს აცნობა. შვილის დასახმარებლად მამამ მდინარეს მიაშურა.

მამაკაცმა რეპტილიას ჯერ მუშტი ჩასცხო, შემდეგ კი მის თათს კბილებით ჩააფრინდა და რამდენიმე წუთის მანძილზე ღრღნიდა მას.

– მან რამდენჯერმე უკბინა ნიანგს რბილ ადგილებზე, როდესაც თავისი შვილის გადარჩენას ცდილობდა, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა.

რეპტილიამ მამაკაცის შეტევას ვერ გაუძლო, ბავშვს პირი გაუშვა და იქაურობას გაეცალა. დაშავებული მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

# სლოვაკმა ენით 62 ანთებული ასანთის ღერის ჩაქრობით რეკორდი დაამყარა

სლოვაკეთის მცხოვრებმა ენით სარეკორდო რაოდენობის ასანთის ღერი ჩააქრო და გენესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

სლოვაკეთის ქალაქ პუხოვის მკვიდრმა




პავოლ დურდიკმა ერთ წუთში აანთო და საკუთარი ენით ჩააქრო 62 ცალი ასანთის ღერი. წინა ორი რეკორდი ასევე მას ეკუთვნოდა. 2017 წლის თებერვალში მან 45 ასანთის ღერი ჩააქრო, ხოლო რვა თვის შემდეგ თავისივე შედეგი 14 ასანთის ღერით გააუმჯობესა.

ასანთის ღერების ენით ჩაქრობის გარდა, დურდიკს სხვა გატაცებებიც აქვს. 2017 წელს გენესის რეკორდების წიგნში სლოვაკის კიდევ ერთი მიღწევა შევიდა: მან 30 წამში ცალ ფეხზე 28 წინდის ჩაცმა მოახერხა.. გარდა ამისა, მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი მაშხალების ანთების და ჩაქრობის რაოდენობაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

დასაწყისი მე-9 გვერდზე

# ბათუმმა ისევ რუსთავთან წააგო

წიკლაურმა გარდასახა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 28:9.

**ახმაზი-აია 3:17**

რიონისპირელები თბილისში, შევარდენზე უახლოეს კონკურენტს, მარნეულის არმაზს ეწვივნენ და 17:3 იმარჯვეს, მეტოქეს ადგილი გაუცვალეს და მე-4 ადგილზე გადაინაცვლეს.

აღსანიშნავია, რომ ეს ანგარიში პირველ ტაიმში დაფიქსირდა და მეორე 40 წუთი გუნდებმა უქულოდ გალიეს. საწყის 7 წუთში სტუმრებმა, კერძოდ, თედო აბჟანდაძემ ორჯერ დაარტყა ჯარიმა და მეორე გაიტანა. მას რეზი ჯინჭველაშვილმა მალევე უპასუხა ჯარიმით და წონასწორობა აღადგინა, თუმცა „აია" ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, ბურთს აკონტროლებდა და ეს შესვენებამდე ქულებშიც ასახა.

ტაიმის შუაში აბჟანდაძეს მეორე ჯარიმაც გაუფუჭდა, რის შემდეგაც ქუთაისელებმა ლელოზე გადაწყვიტეს თამაში და 29-ე მიზანსაც მიაღწიეს. დერეფნის შემდეგ თემურ თუთბერიძემ ბურთი ფეხით მეტოქის 22-ში გადაკიდა, ის მიწიდან გიორგი აბრამიძეს სასარგებლოდ ახტა და ლელო გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა.

შესვენების წინ ოთარ ძაგნიძემ ფრთაზე გრძელი პასი მიიღო, მბოჭავი კონტაქტით ჩამოიცილა და მეორე ლელო გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა.

შესვენების შემდეგ ქულების აღების შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ამით ვერც ერთმა ისარგებლა და აიამ 17:3 იმარჯვა.

**ვეფხვები-ლელო სარასენსი 16:22**

შეცვლაზე შესულმა ირაკლი ყიასაშვილმა პატარძეულში ვეფხვებს ლელო გაწითლებულ დროზე გაუტანა და საკუთარ გუნდს დაძაბულ მატჩში 22:16 მოაგებინა.

დაძაბული მატჩის უმეტესი დრო მასპინძლები ლიდერობდნენ, თუმცა ისე, როგორც პირველ წრეში, გადამწყვეტი ლელო მიწურულს გაუშვა და მხოლოდ ბონუს-ქულას დასჯერდა

თამაში თბილისელების შეტევებით დაიწყო, მაგრამ ჯარიმები კარში არ დაარტყეს, ვერც ლელო გაიტანეს და 15-წუთიანი დომინირება უქულოდ დაასრულეს. ვეფხვებმა პირველივე შანსი გამოიყენეს: რეზი ბროძელმა ბურთი ფეხით გადაკიდა, მას ლაშა შალიკაშვილი მიყვა და ანგარიში გახსნა. გარდასახვა არაზუსტი იყო და მალე მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმით სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა. პატარძეულელებმა ჯერ არეკნით სცადეს 3 ქულის აღება და ბურთი კარს ასცდა, მერე ჯარიმა ძელმა აისხლიტა, ტაიმის ბოლოს კი ლაშა გურგენიძემ მიზანი გაისწორა და გუნდს 5-ქულიანი უპირატესობა დაუბრუნა.

ვეფხვებმა მეორე ლელო მეორე ტაიმის მე-15 წუთზე გაიტანა: ლელო-სარასენსი მეტოქეს დერეფანში არ შეეწინააღმდეგა, ალექსი მუჩიაშვილმა თავად შეუტია, ხაზი სუფთად გაჭრა და მიზნამდე წინააღმდეგობის გარეშე ირბინა. სტუმრებმა იქვე უპასუხეს, შერკინების შემდეგ აკაკი ტაბუცაძემ ხაზი გაჭრა, ბურთი მარცხენა ფრთაზე ჩათამაშდა და ბექა მამუკაშვილმა ლელო ალამთან გაიტანა.

ლელო-სარასენსმა თამაში ააჩქარა და 67-ე წუთზე დაწინაურდა. ბურთი მარჯვენა ფრთაზე სწრაფად ჩათამაშდა და ამჯერად ლელო ტაბუცაძემ მიითვალა, ხოლო კვირიკაშვილმა გარდასახვა ძელის გავლით გაიტანა.

ლაშა გურგენიძემ საკუთარ გუნდს ლიდერობა 74-ე წუთზე, ჯარიმით დაუბრუნა. თუმცა, ვეფხვებმა ბოლო შეტევას ვეღარ გაუძლეს, ირაკლი ყიასაშვილმა ლელო ძელებსშუა გაიტანა, ხოლო კვირიკაშვილმა გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 22:16.

**აკადემია-ჯიქი 5:31**

გორელებმა აკადემიასთან ბონუსიც აიღო და ექვსეულში შესვლის კარგი შანსი შეინარჩუნა. შევარდენზე ქართლელებმა აქტიურად, მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და 5 წუთში 2 ლელო გაიტანეს. დებიუტში მათ კარგი შეტევა საკუთარი ნახევრიდან წამოიწყეს, მარცხენა ფრთაზე ბურთი სწრაფად ჩაათამაშეს და ცენტრალური ხაზი გადაკვეთეს. მერე ის ფეხით საპირისპირო ფრთაზე გადაკიდეს, სადაც რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა მისი გამოყენება ვერ შეძლეს. საქმეში მორკინალები ჩაერთვნენ, რამდენიმე დარტყმის შემდეგ, დიტო კიკნაძემ ბურთი ძელებსშუა ფეხით შეაცურა და მას ნიკა სამხარაძე მიყვა.

ორიოდე წუთში დავით მოძღვრიშვილს 22-იდან ფეხით მოგერიებისას ნიკა სუხაშვილმა დაუფარა და ლელო თავადვე გაიტანა. კიკნაძემ ორივე ლელო გარდასახა – 14:0.

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და ჯერ მოძღვრიშვილს, მერე კი კიკნაძეს გაუცუდდათ ჯარიმები. ჯიქმა მესამე ლელო 34-ე წუთზე გაიტანა, სუხაშვილმა მეტოქის 22-ში დანიშნული შერკინებიდან შეუტია, ერთი მცველი კონტაქტით ჩამოიშორა, კიდევ 2 თავისკენ მიიტყუა და ოფლოუდით ლელოში გიორგი მჭედლიშვილი შეუშვა. ამჯერად გარდასახვა არაზუსტი იყო.

სტუმრებმა მეოთხე ლელო მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანეს. დერეფნიდან აგორებულ მოლს ლევან დათუნაშვილი მოწყდა და მისი შემჩერებელი აღარავინ დარჩა – 24:0. 62-ე წუთზე ჯიქმა კვლავ დერეფნიდან შეუტია, დავით ხიდეშელმა ბურთი 5-მეტრიან წყვეტილთან მიიღო, შეუტია და დათუნაშვილის დახმარებით ლელოს ხაზი გადაკვეთა. ამჯერად კიკნაძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა – 31:0.

მატჩის მიწურულს აკადემიამ ერთი საპასუხო ლელოს გატანა მოახერხა, საბა ილურიძე ფეხით შეცურებულ ბურთს მიყვა, თუმცა ამან ჯიქს ხასიათი ვერ წაუხდინა.

# ასტროპროგნოზი

## 30 იანვრისათვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. საქართველოს ეროვნული გმირი; 2. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 3. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 4. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 17. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

**თარაზულად**: 5. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 15. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. მოკლე შარვალი; 21. პარფიუმერიულ საშუალებათა სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 23. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყაჭი; 2. ჩხუტი; 3. ტრიოდი; 5. ელესა; 6. ტრიგლიტი; 8. ბუნდესტაგი; 10. ოტიატრი; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. ჰაშიში; 16. ოკაპი.

**თარაზულად:** 1. ყაყაჩო; 4. დებიუტი; 7. ჭყურტი; 9. დივანი; 11. ონაგატა; 12. ტრავიატა; 13. იადონი; 17. ტეკილა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. უილიამსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლეგრანი; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. გოია.

**თარაზულად:** 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. ბუკერი; 11. ვაშლი; 13. ებანი; 15. ღვინიო; 18. ჰერში; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

# თეატრი „ვერიკო“ ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გადავიდა



კოტე მახარაძის მიერ წლების წინ დაარსებულმა თეატრმა „ვერიკო“ მისამართი შეიცვალა და ფიქრის გორიდან აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გადავიდა.

კოტე მახარაძის მიერ დაარსებულ ერთი მსახიობის თეატრში მონოსპექტაკლებს ცნობილი მსახიობები მურმან ჯინორია, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი თამაშობდნენ. კოტე მახარაძის გარდაცვალების შემდეგ, თეატრის ხელმძღვანელობა სოფიკო ჭიაურელმა გადაიბარა, სოფიკოს გარდაცვალების შემდეგ კი თეატრი გაჩერდა.

# ავსტრიაში ტურისტულ გამოფენაზე სომხეთი თბილისისა და გერგეტის სამების ხედების ფოტოებით წარდგა




ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ტურისტულ გამოფენაზე სომხეთი თბილისისა და გერგეტის სამების ხედების ფოტოებით წარდგა.

ინფორმაცია ამის შესახებ გიორგი გიგაურმა გაავრცელა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის მიმართა:

– საგარეო საქმეთა სამინისტროს!

ავსტრიის დედაქალაქში გახსნილ ტურისტულ გამოფენაზე სომხეთი თბილისისა და გერგეტის სამების ხედების ფოტოებით წარდგა!

ამ სომხებს რომ კრამიტის დაცურებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, 26 საუკუნეზე მეტია ვიცით, რაც კავკასიაში გადმოსახლდნენ...

მაგრამ იქნებ, ჩვენმა დიპლომატებმაც გაიღვიძონ და სტენდი გამოაცვლევინოთ, ამ უბედურებს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გამყიდველის რჩევამ ქალს ლატარიაში სოლიდური თანხა მოაგებინა




ამერიკის კონექტიკუტის შტატის ქალაქ პროსპექტის მცხოვრები ქალბატონი მიიჩნევს, რომ ლატარიაში თანხა ავტოგასამართი სადგურის გამყიდველის რჩევის წყალობით მოიგო.

ლილიან პერონი მომენტალური ლატარიის ბილეთებს ყოველ კვირას ყიდულობდა. ჩვეულებრივ ის 10X ქეშის ბილეთებს იძენდა, მაგრამ ამჯერად გადაწყვიტა, სხვა გათამაშების ბილეთი ესინჯა. მისი თქმით, მას გამყიდველმა 20X ქეშის ბილეთის ყიდვა ურჩია და უთხრა: „ვგრძნობ, რომ ის თქვენ წარმატებას მოგიტანთ“.

ქალმა ბილეთი იყიდა, იქვე გადაფხიკა დამცავი ფენა და როგორც გამყიდველმა უწინასწარმეტყველა, ის მართლაც მომგებიანი გამოდგა. ქალის მოგებამ 20 ათასი დოლარი შეადგინა. ამ თანხით ის გოლფის სათამაშო ახალი მოწყობილობის შეძენას და ძმის დაბადების დღეზე ოჯახის რესტორანში წაყვანას გეგმავს.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი

**ზურაბ ჭავჭანიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქეთევან კიკნაძე ტელევიზიებს მაყურებლის შებრალებას სთხოვს



მსახიობი ქეთევან კიკნაძე ტელევიზიებს მაყურებლის შებრალებას სთხოვს. ხელოვანს მიაჩნია, რომ ტელევიზიით ამდენი უარყოფითი ინფორმაციის დღეში რამდენჯერმე გადაცემა, რიგითი ადამიანებისთვის დამთრგუნველია:

– ტელევიზიებო! შეიბრალეთ ხალხი, ამდენი სიკვდილიანობის გამოცხადება არ გინდათ, განადგურდნენ ადამიანები ამ უარყოფითი ემოციებისგან, იქონიეთ შებრალება, ნუთუ თქვენთვის მხოლოდ ინფორმაციებს წარმოადგენს და მეტს არაფერს?!

შეწყდეს ამდენი უბედურების გადმოცემა, თან ყველა არხზე, ერთი და იგივე დღეში ოთხჯერ.

# პაატა შამუგია: „ცილისწამების შესახებ კანონი სატყუარაა“



პოეტი პაატა შამუგია ცილისწამების შესახებ კანონს სატყუარას უწოდებს:

– საქართველოს ხელისუფლებამ „ფეიკნიუსის“ შესახებ დისკუსია წამოიწყო „ფეიკნიუსით“. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრიფინგზე ცილისწამების რეგულაციაზე ილაპარაკა და ხაზგასმით აღნიშნა სოციალური ქსელები, როგორც „ფეიკნიუსის“ გავრცელების ერთ-ერთი წყარო. მან ჟურნალისტებთან ისაუბრა ფრანგულ გამოცდილებაზე. „მედიაჩეკერის“ ინფორმაციით, „საფრანგეთმა მართლაც მიიღო ახალი კანონი, ოღონდ არა ცილისწამების, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ყალბი ინფორმაციის გავრცელების საწინააღმდეგოდ, რომელმაც დიდი დებატები გამოიწვია ქვეყნის შიგნითაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, საფრანგეთის მაგალითის დამოწმება ირელევანტურია, რადგან იქ პოლიტიკური თამაშის მოკლევადიანი წესების დადგენაზეა ლაპარაკი, ისიც საარჩევნო პერიოდში. ჩვენთვის კი ეს, იმ ფორმით, რა ფორმითაც, სავარაუდოდ, ხელისუფლებას უნდა, უკიდურესად საშიში პრეცედენტი იქმნება.

საფრთხე რამდენიმე „პერსპექტივას“ გულისხმობს:

უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება თავად არის ცილისწამების მთავარი ორგანიზატორი. ნებისმიერი მოქალაქე, რატიანიდან დაწყებული სარალიძით დამთავრებული, როგორც კი აღმოჩნდება ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში, ინტერნეტში აგრესიულად აქტიურდებიან ე.წ. ტროლები, რომლებიც სხვადასხვა გვერდზე გამალებით ავრცელებენ ყალბ ინფორმაციებს. ყველა ეს გვერდი არის დასპონსორებული, ყველა ეს გვერდი არის შეურაცხმყოფლად პროსამთავრობო და ყველა ეს გვერდი არის „მიძინებული“ მანამ, სანამ ვიღაც გაბედავს და ხელისუფლების საპირისპირო აზრს გაახმიანებს. ანუ ჩვენი ფული ხმარდება ჩვენსავე გაშავებას, ჩვენი მოქალაქეების ტვინების რეცხვას. შესაბამისად, იაფფასიანი სპეკულაცია იმაზე, რომ თურმე ცილისწამება ცუდია (ნუთუ?!), არის პრიმიტიული ვირეშმაკობა.

თუ ხელისუფლება თავად არის ე.წ. ფეიკნიუსის გამავრცელებელი, ვის ემუქრება ის ამ კანონპროექტით?

შუა საუკუნეების ინგლისში სამეფო კარზე ჰყავდათ პაჟები, რომლებიც საერთოდ არაფერს აკეთებდნენ, თუმცა დიდ როლს თამაშობდნენ მომავალი მონარქის აღზრდაში. როცა ტახტის მემკვიდრე ცუდად მოიქცეოდა, სცემდნენ... პაჟებს. ვფიქრობ, სწორედ ასე იქნება ამ კანონპროექტის გასვლის შემთხვევაშიც: ხელისუფლება როცა გაავრცელებს „ფეიკნიუსებს“, მურუსიძის სამართლებრივი წკეპლა ჩვენს ტრაკებზე იშხუილებს.

მთავარი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ არ გვაქვს სასამართლო. ამიტომ, ნებისმიერი რამ, რაც ჩვენი გამოხატვის უფრო მეტ შეზღუდვას ეხება, როგორც წესი, კვაზიჰუმანური მოტივებით, მიმართული იქნება ჩვენი ისედაც მყიფე საზოგადოებრივი ფუნდამენტის ჩამონგრევისკენ.

საქართველოს სასამართლო სისტემა არის ხელისუფლების ყურმოჭრილი ყმა. იოლი წარმოსადგენია, ამ სისტემის თითოეული წევრი რა იმიჯით შევა ისტორიაში, მაგრამ სანამ ისტორია დაიწერება, მანამ ისინი შეიწირავენ ბევრ ადამიანს. მოსამართლეები, რომლებმაც, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მოკლული გირგვლიანი გაამტყუნეს და მოკლული სარალიძის საქმის ფიგურანტები გაამართლეს, ცხადია, საზოგადოებისგან არავითარ ნდობას არ იმსახურებენ. სამაგიეროდ, ისინი იმსახურებენ ხელისუფლების ნდობას და თანაც, იმდენად, რომ უვადო მოსამართლეობასაც უპირებენ.

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ე.წ. ცილისწამების კანონპროექტი თუ გავა, ცილისწამებად შეირაცხება ყველაფერი, რაც ხელისუფლებას დისკომფორტს შეუქმნის, ხოლო ჩვენი ყოველგვარ ფსკერს ქვემოთ მოლივლივე სასამართლო ოპერატიულ დასტურს დასცემს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცილისწამებაზე აქტიური საუბარი ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო. ამ კანონპროექტის საჭიროებაზე სწორედ ამის შემდეგ ალაპარაკდა ხელისუფლების ყველა წევრი: ცილისწამებული სალომე ზურაბიშვილიდან, ვიდრე ცილისმოწამე ზაზა გაბუნიამდე. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ის ადამიანია, რომელიც წლების წინ, არც მეტი, არც ნაკლები, მხატვრული ლიტერატურის, „და ვინჩის კოდის“ აკრძალვას ითხოვდა.

ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა უშუალოდ შემოქმედებითი ნაწარმოების ცენზურის ქვეშ მოქცევის კანონპროექტი, რომელიც მძაფრი საზოგადოებრივი წინააღმდეგობის გამო ვერ გავიდა. ახლა, როგორც ჩანს, სხვა მხრიდან დაატრიალეს ფირფიტა. მართლაც, რაღა მარტო შემოქმედებითი ნაწარმოები, როცა შეგიძლია ერთიანად მოიცვა ყველა სფერო!

მართალია, ტექსტიდან შინაარსის გამოტანა არ არის ჩვენი ხელისუფლების ძლიერი მხარე, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მათში თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც დარჩა. ვერავინ გადარჩება პოლიტიკურად, ვინც ამ კანონპროექტს ხელს მოაწერს.

# ვალერიან შიუკაშვილმა ორსულებისთვის ალბომი ჩაწერა




პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა მომავალ დედებს საჩუქარი მოუმზადა და ორსულებისთვის ალბომი ჩაწერა.

ინფორმაცია ამის შესახებ თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– ალბათ, ბევრს ეგონა ჩემსავით, რომ ორსულობის პერიოდში მოსმენილი კლასიკური ნაწარმოებების ამბავი ერთგვარი მითი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მგონია, რომ მომავალი დედები მაინც იმედით ეკიდებოდნენ საკითხს და ცდილობდნენ, ორსულობის პერიოდში კლასიკისთვის ესმინათ. ასეთებს ნამდვილად ვიცნობ და მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც ვარ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, არტისტი იუნიონ კონცეპტარტი, უძვირფასეს და უმაგრეს არტისტ ვალერიან შიუკაშვილთან ერთად ზემოთქმულ მითს რეალობად აქცევს.

გამოიცემა სიდი ორსულთა მუსიკა და 3 მარტს, დედის დღეს ვალერიან შიუკაშვილი სწორედ ორსულებისთვის, მომავალი დედებისთვის დაუკრავს. ნაწარმოებები პოლონეთში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით შეირჩა.

ასე რომ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით თუ როგორი დიდი სარგებელი მოაქვს კლასიკურ მუსიკას.

ყველაფერი კი მრავალი წლის წინ დაიწყო, ვალერიანს ორსულმა მეგობარმა შესჩივლა, კლასიკის სმენა მინდა და მხოლოდ სინთეზატორზე დაკრულს ვპოულობ ინტერნეტშიო. შემდეგ ეს იდეა მოხვდა პოლონეთში, სადაც ვაკოს მონაწილეობით ჩატარდა კვლევა, მოგვიანებით რამდენიმე ნაწარმოები ჩაიწერა და ვაკომ ერთ მშვენიერ საღამოს, სრულიად შემთხვევით, სიტყვას მოაყოლა ეს ამბავი. რა გასაკვირია, რომ მაშინვე დავინახე კონცერტი, ბევრი ორსული რომ ესწრება იმ კადრით. მოკლედ, ორსულთა მუსიკა მსმენელთან შესახვედრად ემზადება, სპეციალური ფოტოსესიაც კი მივუძღვენით.

როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტად მახარებს ჩემთვის უძვირფასეს ადამიანებთან ერთად პროექტის კეთების პროცესი, როცა ასეთი სიყვარულია, ამბავიც თავისთავად მიმზიდველი და სიყვარულიანი გამოვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ტყეში დაკარგული სამი წლის ბავშვი დათვმა გადაარჩინა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კრეივენის ოლქში ტყეში დაკარგული პატარა ბიჭი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვი ირწმუნება, რომ მას ცივ ამინდში გადარჩენაში შავი დათვი დაეხმარა.

სამი წლის კეისი ჰეტეუეი 22 იანვარს დაიკარგა. ის ბებიის სახლის უკანა ეზოში თამაშობდა ორ სხვა ბავშვთან ერთად და სახლში აღარ დაბრუნდა. საღამოს ჰაერის ტემპერატურა ექვს გრადუს ყინვამდე დაეცა. ამასთან ბავშვს ასეთი ამინდისთვის შეუფერებლად ეცვა.

კეისის შვეულმფრენების, დრონების, კინოლოგების და მყვინთავების დახმარებით ეძებდნენ. ამის გარდა, ტყეში მას ასამდე მოხალისე ეძებდა. ორი დღის ძებნის შემდეგ ქარი და წვიმა იმდენად გაძლიერდა, რომ მოხალისეებს ძებნის შეწყვეტა სთხოვეს.

ორი დღის შემდეგ პოლიციელებს ტყეში ბავშვის ტირილის ხმა შემოესმათ. ბიჭი პატარა კუნძულზე ეკალბარდებში იპოვეს, ის ერთიანად სველი და გაყინული იყო, თუმცა სხეულზე მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი აღენიშნებოდა. კეისიმ პოლიციელებს განუმარტა, რომ მას ტყეში მეგობარი ჰყავდა და მთელი ამ ხნის მანძილზე სწორედ ის ზრუნავდა მასზე და ეს მეგობარი შავი დათვი იყო.

შერიფ ჩიპ ჰიუზის თქმით, მაშველებს ბავშვის ადგილსამყოფლამდე მისაღწევად მკერდამდე ყინულიან წყალში გასვლა დასჭირდათ. ბავშვის სიმაღლე 66 სანტიმეტრია და როგორ მოახერხა მან კუნძულამდე მიღწევა, ჯერჯერობით უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**30 იანვრისთვის**

აშშ დოლარი — 2.6570

ევრო — 3.0319

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4979

100 რუსული რუბლი — 4.0238

## ამინდის პროგნოზი 30 იანვრისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**29 იანვრიდან**

რევაზ ინანიშვილი

**რჩეული მოთხრობები**



**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**31 იანვრიდან**

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ მიდის ცხოვრება?

– ბუზებს რომ მოეწონებათ.

●●●

ეჭვიანი ქმარი ხანგრძლივ მივლინებაში წასვლის წინ მეზობელს სთხოვს:

– ჩემ ცოლს თვალი ადევნე და თუ რაიმე უჩვეულოს შენიშნავ, მაშინვე შემატყობინე.

სამი კვირის შემდეგ კაცი შეტყობინებას იღებს:

„სასწრაფოდ ჩამოდი“.

კაცი მეორე დღესვე ჩამოფრინდა, მეზობელს მიადგა და ეკითხება:

– აბა რაშია საქმე?

– თავიდან ასე იყო. ყოველ საღამოს მასთან უცხო მამაკაცი მოდიოდა და დილით მიდიოდა...

– და მხოლოდ ახლა შემატყობინე?

– უჩვეულო ორი დღის წინ მოხდა, მამაკაცი აღარ მოსულა...

●●●

მამაკაცი ქალს ქათინაურს ეუბნება:

– როგორი ლამაზი ტანი გაქვს.

– ჰო, ცურვაზე დავდივარ და მაგიტომ, – კეკლუცად მიუგო ქალმა.

– ხანდახან თავიც რომ ჩაყო წყალში, არ შეიძლება?

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო! თქვენი ბავშვი ჩვენთანაა!...

– გამოსასყიდს ითხოვთ, რამდენი?

– გამოსასყიდი კი არა... დროზე წაიყვანეთ ბაღიდან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ვიაგრა უნიტაზში ჩამივარდა.

– მერე?

– უნიტაზს თავსახურს ველარ ვახურებ!

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებული ბავშვი მამას ეუბნება:

– დღეს სკოლაში ისევ ჩავამტვრიე ფანჯრის მინა.

– ვერ გავიგე სკოლა გაქვთ თუ ორანჟერეა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობერტ დე ნირო შვილის მეურვეობისთვის იბრძვის



ამერიკელი მსახიობი რობერტ დე ნირო თავის შვიდი წლის გოგონა ჰელენზე ერთობლივი მეურვეობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად მსახიობი ჰელენის მხოლოდ მონახულებაზეც თანახმა იყო.

ახლა კი ცნობილი გახდა, რომ დე ნირომ თავისი თავდაპირველი გადაწყვეტილება შეცვალა და ახლა უკვე აპირებს მიაღწიოს იმას, რომ ორივე მშობელს ბავშვზე ერთნაირი მეურვეობის უფლება ჰქონდეს.

შეგახსენებთ, რომ რობერტ დე ნირო თავის მეუღლეს, მსახიობ გრეის ჰაიტაუერს 20 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაშორდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ვაჟა მანია მხატვარი გახდა

მომღერალი ვაჟა მანია, რომელმაც ბერკლის სასწავლებელი წითელ დიპლომზე დაამთავრა, მხატვრობამ გაიტაცა.

ჯაზმომღერალმა რამდენიმე ნახატი უკვე შექმნა და ისინი თავის მეგობრებს ინტერნეტის საშუალებით გაუზიარა.

ვაჟას ნამუშევრებმა სოციალურ ქსელში დიდი მოწონება დაიმსახურა და მომღერლის მეგობრებმა მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ბუდუ ზივზივაძემ დანიურ ესბიერგთან კონტრაქტი გაწყვიტა



ბუდუ ზივზივაძე დანიურ გუნდ ესბიერგს ოფიციალურად დაემშვიდობა და ის კარიერას, სავარაუდოდ, ქუთაისის ტორპედოში განაგრძობს.

ზივზივაძემ ესბიერგის შემადგენლობაში 14 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. ბოლო სეზონი ზივზივაძე თბილისის დინამოში იყო განათხოვრებული, სადაც საკმაოდ შედეგიანად ასპარეზობდა.

ესბიერგის სპორტულმა დირექტორმა განაცხადა, რომ ზივზივაძემ ვერ გაამართლა იმედები, რის გამოც ის იყიდეს. დანიაში გადასვლამდე ბუდუ ზივზივაძე საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## არიენ რობენმა, შესაძლოა, კარიერა იაპონიაში გააგრძელოს

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა არიენ რობენმა, შესაძლოა, კარიერა იაპონიაში გააგრძელოს. მას იაპონური ტოკიო ეპატიჟება და რობენი იაპონიაში გადასვლის წინააღმდეგი არ არის.

რობენს ზაფხულში ბაიერნთან კონტრაქტი ეწურება და უკვე ცნობილია, რომ მიუნხენური გუნდი მის დატოვებას არ აპირებს.

არიენ რობენი ბაიერნში 2009 წელს გადავიდა და ბაიერნის შემადგენლობაში უამრავი ტიტული მოიგო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვირჯილ ვან დეიკი ლესტერთან არ ითამაშებს



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა გრიპის გამო, შესაძლოა, ლესტერთან მატჩი გამოტოვოს.

ვან დეიკი რამდენიმე დღეა, არ ვარჯიშობს და მის ადგილს, სავარაუდოდ, ჯოელ მატიპი დაიკავებს. ლესტერთან შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართება და ლივერპულისთვის ეს მატჩი მნიშვნელოვანია.

ამჟამად ლივერპული მეორე ადგილზე მყოფ მანჩესტერ სიტის 4 ქულით უსწრებს.

## ნეიმარი მანჩესტერთან ორივე შეხვედრას გამოტოვებს



პსჟ-ს ბრაზილიელი ლიდერი ნეიმარი მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ შეხვედრებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ ინფორმაცია ფრანგულ პრესაში ვრცელდება. ნეიმარმა ტრავმა საფრანგეთის თასზე მიიღო და, სავარაუდოდ, მას 2 თვე მოუწევს მკურნალობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მარტის ბოლოს დაბრუნდება.

არ არის გამორიცხული, რომ ნეიმარმა ოპერაცია გაიკეთოს და ამ შემთხვევაში ის სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს.

ნეიმარს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. შესაძლოა, მან სარეაბილიტაციო კურსი ბრაზილიაში გაიაროს.

## ოლე გუნარ სოლსკიაერი: „მანჩესტერმა ტიტულები უნდა მოიგოს“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მანჩესტერ იუნაიტედს მხოლოდ ოთხეულისთვის ბრძოლა არ შეშვენის და მომავალში მან ტიტულები უნდა მოიგოს.

სოლსკიაერის აზრით, ეს შესაძლებელია:

– წელს ჩემპიონები ვერ გავხდებით და ეს კარგად გვესმის, თუმცა მომავალში ჩვენ მხოლოდ პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ძველი იუნაიტედი გავხდეთ. წელს ინგლისის თასი და ჩემპიონთა ლიგა დაგვრჩა, სადაც შეგვიძლია გამარჯვების მოპოვება.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილ საქონელზე; 2. შემწე, მფარველი ადამიანი; 3. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 5. კვების გარკვეული რეჟიმი; 6. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფულზე, ფასიან ქაღალდზე; 8. იტალიელი პოლიციელი; 10. ყურძნის შაქარი; 12. ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად; 14. შალის ქსოვილების მავნებელი პეპელა; 15. ქართული ნაციონალური კერძი; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 4. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 7. მდინარე ზუგდიდში; 9. გემის ტვირთმზიდაობა; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ღვინის სპირტი; 13. პატარა ბაღი; 17. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. აფრიკული შხამიანი ბუზი; 19. ფრანგული არაყი; 20. ქართული მალამო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

